

"გულახდილად" A5



აი, ვესმის კენჭისყრა! A6



ახალი ტექნოლოგიების ხელოვნება A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 17 დეკემბერი, 2005 წელი. №280 (1140)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ბნელი სახლისა და უფასო სასადილოს მკვიდრი

საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტის აქტუალურობის ფონზე, საქარველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბევრი ხანდაზმული, საშინელ სიღატაკესთან ერთად, საკუთარი უფლებების შელახვაზე და დაუცველობაზეც საუბრობს.

A2

## ამბები

### ვლადიმერ არუთინიანს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება

ვლადიმერ არუთინიანის რიგით მეხუთე ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ტერორიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის და იარაღის (საბრძოლო მასალის) უკანონო შენახვა-ტარება-შეძენის მუხლებით ბრალდებულის სასამართლო პროცესი მხოლოდ მას შემდეგ განახლდება, რაც განსასჯელის ფსიქიატრიული დასკვნა მომზადდება.

A2

## ამბები

### რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიის დირექტორი ძებნილია

რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიის ყოფილ დირექტორს გენერალური პროკურატურა მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებაში ედავება.

A2

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 17/12 | 18 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | 11 |
| ტყიბული | 12 | 15 |
| სოხუმი | 11 | 15 |
| დმანისი | 5 | 5 |
| გორი | 8 | 9 |
| ონი | 3 | 6 |
| ზუგდიდი | 13 | 17 |
| ახმეტა | 11 | 11 |
| გაგრა | 7 | 12 |
| სამტრედია | 15 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.1356 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1492 |
| რუბლი | 0.0621 |

ამბები A 2
ამბები A 3
სამართალი A 4
კვირა A 5
სპორტი A 6
TV პროგრამები A 7
სხვადასხვა A 8

# საქართველო რუსეთს პირობებს უყენებს

დიანა ჩაჩუა

*გუშინ მთელი დღის განმავლობაში თბილისში რუსეთ-საქართველოს სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომა და სხვადასხვა საქმიანი შეხვედრები მიმდინარეობდა. რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი იმედს გამოთქვამს, რომ ქართული მხარე მხარს დაუჭერს აფხაზეთის სარკინიგზო ხაზის ამოქმედებას და სოჭი-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოები დაიწყება. თავის მხრივ, გუშინ საქართველომ რუსეთის ფედერაციას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მხარდაჭერის სანაცვლოდ, თავისი პირობები წაუყენა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

*ზურაბ ნოღაიდელი ვარაუდობს, რომ საქართველო-რუსეთი მთელ რიგ საკითხებზე კვლავ ვერ შეთანხმდებიან.*

# საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტი გააწბილა

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს იმედი გაუცრუა: გუშინ პარლამენტში ჩავარდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის 30-დან 28 წლამდე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის - 35-დან 30 წლამდე შემცირებას ითვალისწინებს. აღნიშნულ კანონპროექტს, პირველი მოსმენით, მხოლოდ 151-მა დეპუტატმა (კვორუმი - 157) მისცა ხმა.

კენჭისყრის დასრულებისთანავე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები შიდაფრაქციულ გამოძიებას შეუდგნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საკონსტიტუციო პროექტის ჩავარდნამ უმრავლესობა ააღელვა.*

# აშშ-ს კონგრესი რუსული არასამთავრობოების შეზღუდვის წინააღმდეგ

*აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, "არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ" კანონპროექტზე უარი თქვას, ან მასში ცვლილებები შეიტანოს. კონგრესმენთა აზრით, აღნიშნული კანონპროექტი "დასავლური დემოკრატიის თანამეგობრობაში" რუსეთის წევრობასთან "შეუთავსებელია".*

რეზოლუცია ოთხშაბათს, გვიან საღამოს, წარმომადგენელთა პალატამ ხმათა უმრავლესობით მიიღო. მას 405-მა კონგრესმენმა დაუჭირა მხარი, 15 - კანონპროექტის წინააღმდეგი იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე



## ოპოზიცია ფინანსთა სამინისტროს შემოწმებას მოითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" კონტროლის პალატის მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოწმებას მოითხოვს. აღნიშნული განცხადება "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლებმა გუშინ, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთეს. როგორც ფრაქციის წევრმა ივლიანე ხაინდრავამ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, კონსტიტუციის 97-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო სახსრების გამოყენებასა და ხარჯვის ზედამხედველობა სწორედ კონტროლის პალატას ევალება. ამიტომაც, დღეს ფრაქციამ კონტროლის პალატას ოფიციალურად მიმართა და მოითხოვა ჩატარდეს რევიზია - სად წავიდა ის 455 მილიონი ლარი, რომლის დახარჯვაც მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა.

ფრაქციის წარმომადგენლები ეჭვს გამოთქვამენ, რომ 455 მილიონი ლარი ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტზე უდევს და არ ხარჯავს. პარლამენტარ ბეჟან გუნავას განცხადებით, "დემოკრატიულმა ფრონტმა" ფინანსთა მინისტრისაგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო. ამიტომ ფრაქცია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ფინანსთა სამინისტროში რევიზია კონტროლის პალატამ გააკეთოს. კობა დავითაშვილის განცხადებით, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციას უარს ეუბნება პენსიების 38 ლარამდე გაზრდასა და სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დანიშვნაზე, საქართველოს ხელისუფლებას 455 მილიონი ლარი დასახარჯი უდევს. დავითაშვილის თქმით, სავალუტო ფონდი სწორედ ამიტომ აღარ ურიცხავს საქართველოს ხელისუფლებას თანხებს და აღნიშნული თანხის გახარჯვას მოითხოვს. დეპუტატის განცხადებით, იმისათვის, რომ მათი ოპოზიციური პარტიის მიერ შეთავაზებული კანონპროექტი დაკმაყოფილდეს, რაც პენსიონერებისთვის პენსიის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დანიშვნას და, ამასთანავე, 38 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს, მათი ფინანსური გათვლებით, ამისათვის მხოლოდ 40 მილიონია საჭირო. "საქართველოს ხელისუფლება კი პენსიონერებისთვის აღნიშნულ თანხას ვერ იმეტებს," - აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## მიწისძვრით დაზარალებულებს ბედი არ სწყალობთ

*თბილისის მერიის შენობის წინ მიწისძვრით დაზარალებულმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები თბილისის მერთან გიგი უგულავასთან შეხვედრას მოითხოვდნენ და დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტის პროექტს აპროტესტებდნენ.*

ნათია მსხილაძე

2002 წლის 25 აპრილს დედაქალაქში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა აქცია უშედეგოდ დასრულდა. აქციის მონაწილეები მერიისგან მათი ბინების გასამაგრებლად საჭირო თანხებს ან დროებით საცხოვრებელი ფართის გადაცემას მოითხოვდნენ.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის ქალაქის ბიუჯეტიდან ავარიული ბინების შესაკეთებლად გამგეობებს 7 მილიონი ლარი გამოუყვეს, ხოლო საქალაქო საბინაო მეურნეობისა და განვითარების ცენტრს - 10 მილიონ 450 ათასი ლარი. აღნიშნულმა სამსახურმა 4 მილიონ 480 ათასი ლარი აითვისა. ამის მერე, სამსახური ლიკვიდაციაში მოხვდა და დარჩენილი თანხები ურბანული დაგეგმარების სამსახურში გადანაწილდა, შემდეგ კი ამ უკანასკნელმა თანხა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს გადაულოცა.

რაც შეეხება 2006 წლის თბილისის ბიუჯეტს, ქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის განცხადებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 5 მილიონ-ნახევარზე მეტი ლარი გარეუბნებში მაღალსართულიანი ავარიული ბინების შეკეთებას მოხმარდება. **"ქალაქის ცენტრში ავარიული ბინების უმრავლესობა ბარაკული ტიპისაა. მათ შეკეთებას ასეულობით მილიონი ლარი სჭირდება. ამიტომ, ამ ადგილებში ინვესტორები უნდა მოვიზიდოთ,"**- აღნიშნა ქურხულმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ღია წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ბატონ ი. ჩოგოვაძეს და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბატონ გ. გაბაშვილს

ბატონო ირაკლი, ბატონო გიორგი!

კომპანია "ქართულ ტელეფილმს" ოთხი ათეული წლის ისტორია აქვს.

ამ ხნის მანძილზე აქ შეიქმნა 1500-მდე მხატვრული, დოკუმენტური და მუსიკალური ფილმი. ათეულობით ფილმი დაჯილდოვდა კანის, ვენეციის, მანჰეინის, ფლორენციის, ობერჰაუზენის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, კორტინო დ`ამპეცოს და სხვა საერთაშორისო ფესტივალების პრიზებით. გადაღებულია ისეთი ფილმები, როგორებიცაა: "პალესტინა, პალესტინა", "შორია გურჯისტანამდე", "რუსთაველის ნაკვალევზე", "ქორწილი", "სერენადა", "ქვევრი", "რეკორდი", "კუჩხი ბედინერი", "თუში მეცხვარე" და სხვა მრავალი ფილმი, რომლებიც სხვა ქართულ ფილმებთან ერთად ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფიის ოქროს ფონდშია შესული.

1999 წლიდან უნდა მომხდარიყო სახაზინო საწარმო "კომპანია ქართული ტელეფილმი"-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა. ეს უნდა გაეკეთებინა ქონების მართვის სამინისტროსა და სტუდიის ყოფილ ხელმძღვანელობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში "ქართული ტელეფილმის" სტუდია მუშაობდა და ქმნიდა კინოპროდუქციას, ხოლო ბოლო 2 წლის განმავლობაში, სტატუსის დაუდგენლობის გამო, შეწყვიტა მუშაობა.

2005 წლის 13 ოქტომბრის სამთავრობო სხდომაზე XXIV საკითხის მე-3 პუნქტში ნათქვამია: "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ი. ჩოგოვაძე) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან (გ. გაბაშვილი) ერთად წარმოადგინოს გადაწყვეტილების პროექტი ყოფილი სახაზინო საწარმო "ქართული ტელეფილმის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით". სამწუხაროდ, გადაწყვეტილების პროექტი დღემდე შემუშავებული არ არის.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ევროკომისიამ საქართველოში სიღარიბის დაძლევის საცდელი პროექტი შეიმუშავა

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, უახლოეს დღეებში ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 3 მილიონი ევროს ღირებულების, 2005-2008 წლებზე გათვლილი, "სიღარიბის დაძლევის საცდელი პროექტის" განხორციელება დაიწყება. პროექტის პრეზენტაცია გუშინ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში, ევროკომისიის წარმომადგენლების პროექტების განყოფილების ხელმძღვანელის ადრიანა ლონგინისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან დეკანოსიძის მონაწილეობით გაიმართა. 3 მილიონი ევროს ღირებულების "სიღარიბის დაძლევის საცდელ პროექტებს" ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები "აქსიონ კონტრა ელ ჰამბრე" და "მერსი კორი" განახორციელებენ. ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, საქართველოში 2005-2008 წლებში განსახორციელებელი პროექტები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ფერმერული და ტურისტული საქმიანობის, სხვადასხვა სოციალური სფეროს, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების შესაძლებლობების გაზრდასა და ადგილობრივ მცხოვრებთა დასაქმებას ითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

## ფინანსთა მინისტრი სტუდენტებს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე ესაუბრა

გუშინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. ალექსიშვილმა უნივერსიტეტში შეკრებილ აუდიტორიას 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებზე განმარტებები მისცა. როგორც ალექსიშვილი აცხადებს, 2006 წლის ბიუჯეტი დაახლოებით 3 მილიარდი ლარის ტოლფასი იქნება. მისი მთავარი პრიორიტეტები იქნება სოციალური სფეროს, ჯანდაცვის, ენერგეტიკის და სხვა სახის ინფრასტრუქტურის დაფინანსება-განვითარება. ალექსიშვილის განცხადებით, 2006 წლისთვის ექსპორტის 23 პროცენტამდე, ხოლო იმპორტის 14-პროცენტიანი მატება იგეგმება. ალექსიშვილის თქმით, ხელისუფლება ეცდება, რომ 2006 წლისთვის, ლარის კურსმა დოლართან მიმართებაში დაახლოებით 1,82 შეადგინოს. მინისტრის განცხადებით, ამავდროულად, სახელმწიფოში უკვე 2006 წლისთვის სავალუტო რეზერვი 595,9 მლნ. დოლარს გაუტოლდება.

*ინტერპრესნიუსი*

## ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის თურქული ნაწილის მშენებლობა ფერხდება

"ბი-პი" ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის თურქული ნაწილის მშენებლობის ტემპით უკმაყოფილოა, - ამის შესახებ "ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა. "შეშფოთებული ვართ, რადგან არ ვიცით, შეძლებს თუ არა თურქული კომპანია "ბოტას"-ი თავის დროზე გაზსადენის მშენებლობის დასრულებას," - აცხადებს დევიდ ვუდვორდი. მისი თქმით თუკი თურქეთი მომავალი წლის მესამე კვარტალში აზერბაიჯანული გაზის მიღებას ვერ შეძლებს, მაშინ ყოველი დაგვიანებული დღისთვის თურქულ მხარეს ჯარიმის გადახდა მოუწევს. "ვითვალისწინებთ იმას, რომ "შაჰ-დენიზის საბადოს გაზი, კომერციული თვალსაზრისით, თურქეთისთვის მეტად მომგებიანია, ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ თურქული მხარე გაზსადენის მშენებლობას დაგეგმილ დროში დაასრულებს," - აცხადებს ვუდვორდი. მისი თქმით, გაზსადენის მშენებლობა აზერბაიჯანსა და საქართველოში გრაფიკით მიმდინარეობს.

*მედიანიუსი*

## გოდაბრელიძე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აუთვისებლობაზე დარდობს

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე აცხადებს, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ხშირ შემთხვევაში აუთვისებელი რჩება. "რომელიმე ორგანიზაცია თანხის ათვისებას თუ ვერ ახერხებს, ეს ფინანსთა სამინისტროს ბრალი არ არის," - აცხადებს გოდაბრელიძე. გოდაბრელიძის განმარტებით, ფულის დაუხარჯაობის მიზეზები ხშირ შემთხვევაში ტექნიკის ან სპეციალისტთა არარსებობაა. "ზოგჯერ რემონტისთვის გამოყოფილ თანხებს ვერ ითვისებენ, ხან ბულდოზერი არ ჰყავთ, ხან კი - ტრაქტორი. საქმე, მაგალითად, ერთ ორგანიზაციაში იმიტომ ვერ გააკეთეს, რომ მათ მიმდუღებელი ვერ იპოვეს და, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მისი ამერიკიდან ჩამოყვანა დასჭირდათ," - განაცხადა გოდაბრელიძემ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თურქი მეთევზეები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის წინააღმდეგ გამოდიან

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის წინააღმდეგ თურქმა მეთევზეებმა, პროტესტის ნიშნად, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. თურქული მედიის ცნობით, ხელისუფლებამ ისკენდერუნის ყურის სანაპიროებთან მცხოვრებ მოსახლეობას ჯეიჰანის პორტის სიახლოვეს თევზაობა აუკრძალა. ასი მეთევზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიისგან, სანაცვლოდ, 3 მილიონ თურქული ლირის (2 მილიონ 220 ათასი დოლარის) ოდენობის კომპენსაციას ითხოვს. სასამართლოში სარჩელი მას შემდეგ შევიდა, რაც თევზაობაზე შეზღუდვების დამწესებელმა თურქულმა სამშენებლო კომპანია "ბოტას"-მა გაავრცელა განცხადება, რომ ასეთი გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზატორების მიერ იქნა მიღებული. თავიდან მეთევზეებმა მოითხოვეს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიას მათთვის დიდი სათევზაო გემები შეესყიდა, რათა ქვეყნის შიდა წყლებში თევზაობის საშუალება ჰქონოდათ. ამ მოთხოვნის საპასუხოდ, კომპანიამ განაცხადა, რომ სოციალური და ეკოლოგიური მიზნებისთვის 6 მილიონი დოლარი ისედაც გამოყოფილია და ამ მიმართულებით ფულის ჩადებას აღარ აპირებს. ჯეიჰანის პორტის საზღვაო ზოლი სამი კილომეტრია და თევზაობა, ამ სამკილომეტრიანი ზოლის გარდა, საზღვაო ტერმინალიდან რამდენიმე კილომეტრშიც აიკრძალა.

*მედიანიუსი*

## ცხინვალში კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხები განიხილეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხები განიხილეს პარასკევს ცხინვალში, ეუთოს წარმომადგენლობის ოფისში გამართულ საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე. როგორც ჟურნალისტებს ცხინვალის დე ფაქტო საგანგებო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლეონიდ თიბილოვმა განუცხადა, შეხვედრაზე მხარეებმა ევროკომისიის მესამე სარეაბილიტაციო პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს. მისი თქმით, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ენერგეტიკის და რეგიონის გაზიფიცირების საკითხებს. კერძოდ, საუბარი შეეხო გაზსადენის აღდგენისა და ცხინვალში მაღალსართულიანი სახლების ელექტროგამრიცხველიანების საკითხებს, ასევე წყალსადენის სისტემის მშენებლობის დასრულებას. შეხვედრაზე იმსჯელეს, აგრეთვე, უკვე განხორციელებულ ეკონომიკურ პროექტებზე, რომლის ფარგლებში დასრულებულია სარემონტო სამუშაოები არცევის საშუალო სკოლასა და ჯავის სკოლა-ინტერნატში. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო აღდგენითი სამუშაოები სოფელ დმენისის ხიდზე. თიბილოვმა ასევე აღნიშნა, რომ ცხინვალის ხელისუფლება ამ პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის მომავალშიც ყველა პირობას შექმნის.

ევროკომისიის სარეაბილიტაციო ჯგუფი, ქართველი და ოსი ექსპერტების მონაწილეობით, მიმდინარე წლის ნოემბერში შეუდგა მუშაობას.

*პრაიმ-ნიუსი*

# მიწისძვრით დაზარალებულებს ბედი არ სწყალობთ

პირველი გვერდიდან

მიწისძვრით დაზარალებულთა აქციას საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციის "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე გიორგი მოსიძე გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ხელისუფლებამ დედაქალაქის ავარიული საცხოვრებელი ბინების პრობლემა დაივიწყა. **"დღეს თბილისის მოსახლეობის 25 პროცენტი ავარიულ სახლებში, დაღუპვის მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს. არც საქართველოს და არც თბილისის 2006 წლის ბიუჯეტში ავარიულ და მიწისძვრით დაზიანებულ სახლებზე არც ერთი თეთრი არ არის გამოყოფილი,"** -აცხადებს მოსიძე.

მიწისძვრით დაზარალებულთა მიერ მერიის შენობის წინ გამართულ აქციასთან დაკავშირებით კომენტარი დედაქალაქის მერიის აპარატის უფროსმა მამუკა ახვლედიანმაც გააკეთა.

**"მომავალ წელს დედაქალაქის ბიუჯეტში უპრეცედენტო თანხა, 8 მილიონი ლარია გათვალისწინებული ყველაზე მძიმე ავარიული სახლების აღსადგენად და შესაკეთებლად. თანხების გამოყოფისას, მთავარი პრიორიტეტი იქნება კორპუსის დაზიანების ხარისხი და მასში მცხოვრებთა რაოდენობა,"** - აღნიშნა ახვლედიანმა.



*აქციის მონაწილეებს მერიის ხელმძღვანელობიდან არავინ შეხვედრია.*

მერიის აპარატის უფროსის განცხადებით, 15-კაციანი ჯგუფები, რომლებიც მერიის შენობის წინ იკრიბებოდნენ, თანხებს ვერ მიიღებენ. ახვლედიანი თბილისის მერიის შენობის წინ შეკრებილ მიწისძვრით დაზარალებულებს არ შეხვედრია.

# ვლადიმერ არუთინიანს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება

*ვლადიმერ არუთინიანის რიგით მეხუთე ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ტერორიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის და იარაღის (საბრძოლო მასალის) უკანონო შენახვა-ტარება-შეძენის მუხლებით ბრალდებულის სასამართლო პროცესი მხოლოდ მას შემდეგ განახლდება, რაც განსასჯელის ფსიქიატრიული დასკვნა მომზადდება.*

მოსამართლე დავით ჯულელმა ვლადიმერ არუთინიანისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნაზე თანხმობა განაცხადა. ვლადიმერ არუთინიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლას გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე წინა ოთხი ადვოკატიც ითხოვდა. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში ეს მოთხოვნა აქამდე არ დაკმაყოფილებულა. "ვინაიდან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით არუთინიანის რეაქცია გარკვეულ ეჭვებს ბადებს, დაცვის მხარეს ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილად მიაჩნია", - ასეთი პოზიცია ჰქონდა არუთინიანის ყველა ადვოკატს.

როგორც არუთინიანის ბოლო ადვოკატი ლიზი ჯაფარიძე აცხადებს, "რადგან მისი დაცვის ქვეშ მყოფს მძიმე ბრალდებები აქვს წაყენებული, გამოძიების მხარე, კანონით, ვალდებული იყო, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობა თავად დაეყენებინა".

ლიზი ჯაფარიძე მეტი გამჭვირვალობისთვის კვლევაში დამოუკიდებელ ექსპერტთა ჩართვას მოითხოვს. არუთინიანს ექსპერტიზა საპყრობილეში ჩაუტარდება.

რაც შეეხება განსასჯელის მოთხოვნას პროცესში ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვის შესახებ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დაცვის მხარემ ხუთ საერთაშორისო ორგანიზაციას ერთი კვირის წინ მიმართა, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღია.

*24 საათი*

# ბნელი სახლისა და უფასო სასადილოს მკვიდრი

### თანამედროვე პროვინციული ამბავი

*საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტის აქტუალურობის ფონზე, საქარველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბევრი ხანდაზმული, საშინელ სიღატაკესთან ერთად, საკუთარი უფლებების შელახვაზე და დაუცველობაზეც საუბრობს.*

ცაულინა მალაზონია
*ახალციხიდან*

ქალბატონი თინა 68 წლისაა. მაღალი წნევის მიუხედავად, საუბარზე მაინც დაგვთანხმდა, თუმცა საკუთარი გვარის გაზეთში ხსენება არ მოინდომა. **"ჩემი ცხოვრებაც ისეთივეა, როგორიც ბევრი სხვა მარტოხელა პენსიონერისა,** - ამბობს გულდაწყვეტილი, **- ყოველ მხრივ დაუცველები ვართ, დაჩაგრულები, არავის ვჭირდებით. ადრე ამ ქალაქში მიცნობდნენ, როგორც კოპწია, ცოცხალ, დისციპლინისმოყვარე ქალბატონს. ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის კომენდანტის სამსახურში გავატარე. მოზარდები, რომლებიც აქ კვირაობით, მშობლების მეთვალყურეობის გარეშე ცხოვრობდნენ, ჩემგან დიდ დროსა და ყურადღებას მოითხოვდნენ".**

ბევრი მათგანი შვილივით უყვარდა და არ დაფიქრებულა, რომ საკუთარიც აუცილებელი იყო. ანაზღაურება იმდენად კარგი ჰქონდა, რომ მოსკოვს, საბჭოთა ქვეყნების სხვა ქალაქებსა და კურორტებს ხშირად სტუმრობდა. თავად დედისერთას, მარტოობა რაღაცნაირად მოსწონდა კიდეც.

საპენსიო ასაკს ცხოვრებისგან გატეხილი და სოციალურად გაძარცვული შეხვდა. **"დარდში ჩაძინებული, დარდშივე ვიღვიძებ, სანამდე იქნება ეს ცხოვრება ასეთი უიმედო?"** - კითხულობს, თუმცა პასუხი თავადაც იცის.

მარტოობის სასჯელის სანაცვლოდ დამატებით 22 ლარსაც იღებს. ქალაქში გახსნილ უფასო სასადილოსაც სტუმრობს. იქ მისვლა საინტერესოც არის. საერთო გასაჭირის მქონე უამრავი მოხუცი ერთმანეთს დარდს უზიარებს.

ქალაქის ცენტრში, ერთსართულიან სახლში ცხოვრობს. ერთ დროს ეს სახლი უყვარდა კიდეც, მაგრამ ახლა ხშირად ცდილობს მისი კედლებიდან გაღწევას. სიბნელეს, რომელიც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ, ბევრ ხელმოკლე ადამიანთან ერთად, მასაც მიუსაჯა, ვერ შეეგუა.

**"ექვსი თვეა, ამ სახლში ნათურა არ ანთებულა. როგორ თუ სხვებივით არ გადაიხდიო - მოვიდნენ და დენი ჩამიჭრეს. ვერავის გავაგებინე, რომ ასი ლარის დენი არ მჭირდება, სოციალურმა აგენტებმა ჩემი სახლი უკვე შეამოწმეს. არა ტელევიზორი, არა მაცივარი და არც სხვა ელექტრომოწყობილობა. მინდა ერთადერთი ნათურა მენთოს, მხოლოდ ამის საფასურის გადახდა შემიძლია. არ მაქვს უფლება? მოხუცს ასე რატომ მჩაგრავენ? ქალაქელ ქალს შუქი არ უნდა მქონდეს? თუ ას ლარს გადაიხდი, ჩაგირთავთო. გუბერნატორთანაც ვიყავი, მითხრა, უნდა გადაიხადოო. სიბნელეში ცხოვრება რატომ მომისაჯეს?"** - ჩივის მოხუცი.

სჯერა, რომ ადრე თუ გვიან, ღმერთის სამართალი მაინც აღსრულდება და უმწეო მოხუცების დაჩაგვრას არავის აპატიებს. "ვის გაახარებს ჩვენი ცოდო?"- ამ კითხვითღა იმშვიდებს თავს.

რაიონულმა გამგეობამ შეშისთვის 30 ლარი გამოუყო. როგორც ყველაფერი, ესეც მცირედია, თუმცა მაინც უნდა იკმაროს.

ახალი წლის მოლოდინში ერთი ნატვრა წამოსცდა: **"უეცრად, 31 დეკემბერს ჩემი სახლი რომ განათდეს, ერთი უბრალო ტელევიზორი ჩემს სახლშიც რომ ახმაურდეს, ახალ წელს ამ მარტოობაშიც ბედნიერი შევხვდებოდი".**

# ღია წერილი

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ბატონ ი. ჩოგოვაძეს და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბატონ გ. ბაბაშვილს

პირველი გვერდიდან

"ქართული ტელეფილმი" თავისი ინფრასტრუქტურით წარმოადგენს უნიკალურ კომპლექსს, რომელიც სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში იძლევა საშუალებას, შეიქმნას მნიშვნელოვანი ტელე-კინოსაწარმოო ბაზა, რაც თავისთავად სტიმულირებას გაუწევს ქართული კინოინდუსტრიის აღორძინებას.

ვფიქრობთ, რომ "ქართული ტელეფილმი" უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანიზაცია - იურიდიული პირი საკუთარი ქონებით (შენობა, ტექნიკა, აპარატურა, დანადგარები) და ფუნქციონირებდეს სახელმწიფო დაფინანსების გარეშე.

2005 წლის 2 მარტს "ქართული ტელეფილმი"-ს საინიციატივო ჯგუფმა სტუდიის კოლექტივის სახელით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ბატონ ა. ალექსიშვილს თხოვნით, რათა სამინისტრომ დააფუძნოს "ქართული ტელეფილმი", როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საინიციატივო ჯგუფს მოსთხოვა საწარმოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი საბუთები (წერილი № 15/277/5-5 21.04.05). ეს პროცესი შეჩერდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ლ. თარხნიშვილის წერილის საფუძველზე (წერილი № 2144/07 06.06.2005 წ.), სადაც იგი ითხოვდა კომპანია "ქართული ტელეფილმი"-ს ბალანსზე არსებული შენობის საზოგადოებრივი ტელევიზიის საკუთრებაში გადაცემას. ეს კი ნიშნავს "ქართული ტელეფილმი"-ს სტუდიის გაუქმებას.

ბატონო ირაკლი და ბატონო გიორგი, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში არც ერთი ხელოვნების კერა არ გაუქმებულა, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ კულტურის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურადღება. მალე მწყობრში ჩადგება მუსიკალური კომედიის თეატრი. მთელი რიგი კულტურის კერები აღორძინების გზას დაადგა. საკმარისია ქართული ოპერისა და ბალეტის თეატრის მაგალითი გავიხსენოთ. იმედი გვაქვს, რომ თქვენ არ დაუშვებთ ქართული ტელე-კინემატოგრაფის ამ მნიშვნელოვანი კერის გაუქმებას.

გთხოვთ დახმარებას, რათა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კანონის ფარგლებში მოაქციოს სტუდია, სამართლებრივ სივრცეში 100 პროცენტიანი სახელმწიფო შპს "ქართული ტელეფილმი"-ს სახით.

ჩვენ მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ საერთო შეხვედრაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექციისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლები. აგრეთვე, სტუდია "ქართული ტელეფილმის" რეორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფი.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი შეხვედრა აუცილებლად მიგვიყვანს კონსტრუქციულ, ყველასათვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე.

*ღრმა პატივისცემით,*

*საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სახელით*

*საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე*

**ელდარ შენგელაია**

*2005 წლის 17 დეკემბერი*

### მოკლედ

#### გელა ბეჟუაშვილი კონდოლიზა რაისს შეხვდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი აშშ-ს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან, თავდაცვის დეპარტამენტის მდივნის მოადგილესთან გორდონ ინგლანდთან. აგრეთვე, დაგეგმილია სიტყვით გამოსვლა "კარნეგის ფონდში" (Carnegie Endowment for International Peace) თემაზე "დემოკრატიული ცვლილებები საქართველოში". შეხვედრების დროს განიხილება საქართველო-აშშ-ს ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივები, აშშ-ს აქტიური მონაწილეობა სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმის რეალიზაციაში, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიის განვითარება საქართველოში და მთლიანად რეგიონში. **მედიანიუსი**

#### ბუნებრივი აირის ტარიფი 5-6 თეთრით გაიზრდება

საქართველოს მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის ტარიფი 5-6 თეთრით გაიზრდება, - აცხადებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გიორგი თავაძე. მისივე თქმით, საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტის ფასი დაახლოებით 90 პროცენტით გაძვირდება. შესაბამისად, მოიმატებს ტარიფი, კერძოდ კი, მოსახლეობისთვის - 25-26 პროცენტით. **მედიანიუსი**

#### "ტურანალემი" მოლაპარაკებებს განაგრძობს

ყაზახური ბანკი "ტურანალემი" აზერბაიჯანული ბანკების აქციების შეძენის საკითხს 2006 წელს გადაწყვეტს, - უთხრა სააგენტო ტრენდს ტურანალემის ბაქოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა აიდა სულთანოვამ. დღეისათვის ტურანალემი 8 აზერბაიჯანულ ბანკთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ტურანალემის გამგეობის თავმჯდომარემ ერკინ ტატიშევმა აგვისტოში აზერბაიჯანში თავისი წარმომადგენლობის გახსნის ცერემონიალზე განაცხადა, რომ ყაზახური ბანკი აზერბაიჯანულ ბანკში ჯერ აქციათა მცირე პაკეტს შეისყიდის, რომლის მოცულობასაც მომავალში საკონტროლომდე გაზრდის. **პრაიმ-ნიუსი**

#### ინვესტიციები სომხეთის ეკონომიკაში

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) ინვესტიციები სომხეთის ეკონომიკაში 2006 წელს 60-70 მილიონ ევროს მიაღწევს. სააგენტო მედიამაქსის ცნობით, ერგბ-ს წარმომადგენელმა სომხეთში მაიკლ ვაინშტეინმა ერევანში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ინვესტიციების აღნიშნული მოცულობა მიმდინარე წლის ანალოგიურ მონაცემებს ორჯერ აღემატება. ვაინშტეინმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი დიდი პროექტი, რომელსაც ერგბ 2006 წელს სომხეთში დააფინანსებს, ზვარტნოცის აეროპორტის სამგზავრო ტერმინალის აშენებაა. **პრაიმ-ნიუსი**

#### აზერბაიჯანმა საქართველოდან ელექტროენერგია მიიღო

აზერბაიჯანის ენერგოსისტემამ საქართველოდან 2 მილიონ კვტ/საათზე მეტი ელექტროენერგია მიიღო. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" სს "აზერენერჯის" პრესსამსახურში აცნობეს. "აზერენერჯის" მთავარი ინჟინრის სალეჰ მამედოვის თქმით, აღნიშნული გადადინება გასული წლის დავალიანებების დაფარვის ფარგლებში განხორციელდა. საქართველოდან აზერბაიჯანში ელექტროენერგიის ექსპორტი 330-კილოვატიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით "გარდაბანი" ხორციელდება. გრაფიკის მიხედვით, ვალის დაბრუნება 2006 წლის იანვარში დასრულდება. აზერბაიჯანისადმი საქართველოს ვალი 1992-1994 წლებში დაგროვდა და 32,25 მილიონ კვტ/საათს შეადგენს, რომლის ღირებულება 17 მილიონი აშშ დოლარია. **პრაიმ-ნიუსი**

#### აფხაზური მილიციის მორიგი რეიდი

აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა გალის რაიონის სოფლებში - ნაბაკევში, თაგილონში, ოტობაიასა და ოქუმში ქართველი ახალწვეულების წინააღმდეგ მორიგი რეიდი ჩაატარეს. როგორც გალის ქართულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, დე ფაქტო სამართალდამცველებმა სოფლებში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას განუმარტეს, რომ თითოეული ოჯახიდან, სულ მცირე, ერთმა პირმა მაინც უნდა იმსახუროს აფხაზურ ჯარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ამ სოფლების დატოვება მოუწევთ. ანალოგიური რეიდები აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა გალის ქართულ სოფლებში გასულ კვირასაც ჩაატარეს. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტი გააწბილა

პირველი გვერდიდან

სავარაუდოა, რომ მკაცრად დაისჯებიან ისინი, ვინც საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს ხმა არ მისცა. ასეთები კი ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებში" მრავლად არიან - დავით ბაზღაძე, რომან კუსიანი, მამუკა მხეიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, გიორგი წულაია, როინ ჯანაშია... მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის შემცირების მოწინააღმდეგეთა შორის არიან, აგრეთვე, ამბროლაურის, კასპის, ბაღდათის, ხულოს, მესტიის და ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები - ნიკო ლეკიშვილი, ლევან გზირიშვილი, გია მეფარიშვილი, ოთარ ღორჯომელაძე, ვიქტორ ჯაფარიძე და მერაბ სამადაშვილი.

არადა, საპარლამენტო უმრავლესობამ გუშინ, თითქოს, ყველა ზომა მიიღო იმისთვის, რომ პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას პრობლემა არ შექმნოდა. საკანონმდებლო ორგანოში ისეთი დეპუტატებიც კი გამოცხადდნენ, რომლებიც თვეობით არ ჩანან პარლამენტში. მეტიც, კენჭისყრის წინ სხდომათა დარბაზის კარი ჩარაზეს, დეპუტატები გარეთ რომ არ გასულიყვნენ. თუმცა, ყველაფერი ამაო გამოდგა: პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას ექვსი ხმა მაინც დააკლდა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია კენჭისყრის შემდეგ იხტიბარს არ იტეხდა და აცხადებდა, რომ ზოგიერთი დეპუტატის პულტმა არ იმუშავა და კანონპროექტის ჩავარდნა სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთ წევრს (მაგალითად, დავით ბაზღაძეს) მასმედიისთვის არ დაუმალავს, რომ კენჭსაყრელ დოკუმენტს შეგნებულად არ მისცა ხმა.



ოპოზიცია კანონპროექტის ჩავარდნამ ერთობ გაამხიარულა.

უმრავლესობის ლიდერებისგან განსხვავებით, კენჭისყრის შედეგებმა ძალიან გაახარა ოპოზიცია, რომელიც მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის შემცირებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

**"საკონსტიტუციო ცვლილებები ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზეა გათვლილი. მტკნარი სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს, მისი მიზანია საბჭოთა სკოლაგამოვლილი მოსამართლეების ჩანაცვლება ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ახალგაზრდა კადრებით. ეს არის მხოლოდ სიტყვის მასალა ვიღაცეების "დასაბოლებლად". სინამდვილეში, გიგა ბოკერიას და ნიკა გვარამიას ისეთი მოსამართლეები სჭირდებათ, ვინც მათ ჭკუაზე ივლის და მათ ინსტრუქციებს უსიტყვოდ შეასრულებს. ასეთი ადამიანები, ძირითადად, 27-28 წლის ასაკისანი არიან. სწორედ ამით არის განპირობებული მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის შემცირების სურვილი,"** - აცხადებს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი.

რაც შეეხება სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელთა არგუმენტებს, ისინი საკმაოდ ზოგადი და ბანალურია.

**"მოსამართლეთა ასაკის შემცირება განპირობებულია სასამართლო ხელისუფლების რეფორმის გაგრძელების აუცილებლობით და ქვეყანაში არსებული გარდამავალი პერიოდის სპეციალური გარემოებებით,"** - ნათქვამია საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ასეა თუ ისე, საპარლამენტო უმრავლესობა ჩიხში აღმოჩნდა და გამოსავალი გზების ძიებაშია. პრეზიდენტის წინაშე ჩადენილი "ცოდვის გამოსასყიდად", სახელისუფლებო ფრაქცია, ალბათ, რეგლამენტში ისეთი ხვრელების პოვნას შეეცდება, რომელიც მას საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის უახლოეს პერიოდში ხელახლა კენჭისყრაზე დაყენების საშუალებას მისცემს.

# გიორგი ხაინდრავა სამშვიდობოების ჩანაცვლებას აპროტესტებს

გიორგი ხაინდრავა რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობისგან აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ცისფერჩაფხუტიანების სამარის მე-15-ე სამშვიდობო ბრიგადის კონტინგენტით დაგეგმილ ჩანაცვლებას აპროტესტებს.

ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილეს, სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ევნევიჩსა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანს დღეს ოფიციალური წერილით მიმართა.

როგორც "ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, წერილში ხაინდრავა ტელეკომპანია "ნტვ"-ს არხზე, 14 დეკემბერს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედ სამშვიდობოებზე გასულ სიუჟეტს აპროტესტებს.

მინისტრი სამარის მე-15-ე სამშვიდობო ბრიგადის მებრძოლებს "სამშვიდობო მისიის შესასრულებლად იდეოლოგიურად არაობიექტურად დამუშავებულებს" უწოდებს და წერილის ადრესატებს არწმუნებს, რომ "ამგვარი სამშვიდობო კონტინგენტი სამშვიდობო მისიის მიუკერძოებლად შესრულებას ვერანაირად ვერ შეძლებს," - ნათქვამია რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნებისადმი ხაინდრავას მიერ გაგზავნილ წერილში.

14 დეკემბერს ტელეკომპანია "ნტვ"-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც სამარის მე-15-ე სამშვიდობო ბრიგადის მებრძოლი აფხაზეთს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქვეყნად მოიხსენიებს, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სულ 40 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. მისი განცხადებით, ამის შესახებ მათ აფხაზეთში გაგზავნამდე მოსამზადებელი სწავლებების დროს შეიტყვეს, რის დასტურადაც მებრძოლმა მათთვის დარიგებული ბიულეტენებიც აჩვენა.

*ინტერპრესნიუსი*

# უცნობი-თავისუფლება

FM უცნობი 92.0

## გადაცემის სტუმარია "ეროვნული ბანკის" პრეზიდენტი რომან გოცირიძე

**ალექსანდრე ელისაშვილი:** შეგიძლიათ შეაჯამოთ და თქვათ, ამ რვა თვის განმავლობაში წინსვლა თუ ჰქონდა ეროვნულ ბანკს?

**რომან გოცირიძე:** ეროვნული ბანკის წინსვლა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში და საფინანსო სისტემაში არსებული მდგომარეობით იზომება. ეროვნული ბანკის ყველაზე დიდი მიღწევაა ფასების დაგდება და ლარის კურსის სიმყარე.

**ალექსანრე ელისაშვილი:** დოლართან მიმართებაში როგორ მყარდება ლარი?

**რომან გოცირიძე:** მარტივად, თუ თქვენ დაინახავთ, რომ არის კარგი მოსავალი და ბაზარში შემოვიდა ბევრი ვაშლი, ვაშლის ფასი ეცემა. ანუ, თუ ქვეყანაში შემოდის დიდი რაოდენობის დოლარი, დოლარი უფასურდება, ხოლო თუ არის დეფიციტი, მაშინ, ბუნებრივია, მასზე მეტი მოთხოვნაა. ანუ მთავარი მიზეზი ქვეყანაში ვალუტის შემოსვლაა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** საიდან შემოდის ვალუტა?

**რომან გოცირიძე:** კონტრაბანდა შეიზღუდა, გადასახადის გადახდა ხდება ლარებში. მეორე და ყველაზე დიდი ფაქტორი - ესაა უცხოური შემოდინებები. შემოდის თანხები პრივატიზაციიდან, რაც უფრო მეტი ობიექტი გაიყიდება, მით უფრო მეტი დოლარი შემოვა და ლარი გამყარდება. მესამე, სხვადასხვა სახით ე.წ. ტრანსფერტები, ანუ თანხის გადმორიცხვა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** სავარაუდოდ, რა თანხა ირიცხება? პუტინმა 2 მილიარდი დაასახელა, ეს თანხა ირიცხება რუსეთიდან საქართველოშიო.

**რომან გოცირიძე**: რუსების ციფრები არ შეიძლება სწორი იყოს, როდესაც პოლიტიკურ კონტექსტში უყვართ ხოლმე ასეთი განცხადების გაკეთება. როგორც წესი, საზღვარგარეთ მომუშავე ჩვენი მოქალაქეები თავიანთი შემოსავლის 25 პროცენტს რიცხავენ სამშობლოში, დანარჩენი 75 პროცენტი მათ ხმარდება. წარმოიდგინეთ, 2 მილიარდი რომ გადმოერიცხა რუსეთიდან ქართველს, ოთხჯერ მეტი ღირებულების პროდუქცია უნდა შეექმნა იქ. მთლიანად, სხვადასხვა გაანგარიშებით, მთელი მსოფლიოდან ოფიციალური გადმორიცხვები დაახლოებით 200-250 მილიონია. ყველაზე დიდი თანხები ირიცხება რუსეთიდან, შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატები და ა.შ. ქართველების მიერ გადმორიცხული ვალუტა ლარის გამყარებას უწყობს ხელს. ბოლო ფაქტორი საერთაშორისო დახმარებები და კრედიტებია. დღევანდელი კურსით, 1,78 ოქროს შუალედია.

ინფლაცია 11 თვის განმავლობაში 7,8 პროცენტი იყო. ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა რომ არა, გაცილებით ნაკლები იქნებოდა. წელს ინფლაცია, ალბათ, 6 პროცენტამდე იქნება.

11 თვის განმავლობაში საბანკო სექტორის წარმატებული გამოცოცხლება იყო. სამწუხაროდ, საქართველოში იმდენად ჩავარდნილი იყო საბანკო სფერო, რომ საბანკო სფეროში მიმდინარე მოვლენები წარმატებად არ აღიქმებოდა, თორემ საქართველოში საბანკო სისტემის განვითარება ვარდების რევოლუციამდე გაცილებით მცირე იყო, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

წელს ბანკების აქტივები ანუ მთელი ქონება 60 პროცენტით გაიზარდა. კიდევ ერთი თვე გვაქვს წინ და დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ უფრო გაიზრდება.

ქვეყანაში სესხები ყოველთვის დოლარებში გაიცემოდა. წელს მოხდა უპრეცედენტო რამ - 11 თვის განმავლობაში გაცემულმა სესხებმა ლარებში იმატა 115 პროცენტით. დოლარებში სესხების გაცემის ზრდაა 60 პროცენტი, ესეც მაღალი მაჩვენებელია.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** რის ხარჯზე მოხდა?

**რომან გოცირიძე:** შემოდის კაპიტალი, იზრდება საბანკო სისტემა, საქართველოში ფინანსური ბაზარი ნელ-ნელა ვითარდება. გაიზარდა ნდობა საბანკო სისტემისადმი, ხალხმა ფულის შენახვა ბანკში დაიწყო. ანუ საბანკო სისტემას დაუბრუნდა ფული.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** სასიამოვნოა გაჭირვებულ ქვეყანაში წარმატებების მოსმენა. აზერბაიჯანულ გაზეთში "ექო ბაკუ" თქვენი განცხადებიდან ციტატებია მოყვანილი, რომ შეუტიეთ რუსულ ბანკებს, რომელთაც ანგარიშები აქვთ აფხაზეთში გახსნილი. რამდენად შეძლებს პატარა ქვეყნის პატარა ეროვნული ბანკი, რომ რუსულ საბანკო გიგანტებს შეუტიოს?

**რომან გოცირიძე:** ჩვენმა ნახევარწლიანმა გამუდმებულმა მოქმედებამ თავისი შედეგი გამოიღო, იმ თვალსაზრისით, რომ რუსული მსხვილი ბანკები არ რისკავენ უკანონო კომერციულ საქმიანობას. მე მაქვს რამდენიმე წერილი დიდი რუსული ბანკებისა, რომლებმაც შეგვატყობინეს, რომ ისინი წყვეტენ აფხაზეთში საქმიანობას. ვინაიდან დაახლოებით 300 ბანკს 2 წლის განმავლობაში, ფულის გათეთრების მოტივით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანგარიში დაუხურა.

# საქართველო რუსეთს პირობებს უყენებს

პირველი გვერდიდან

რუსეთ-საქართველოს სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომა გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" გაიხსნა. ქართულ-რუსული შეხვედრის მთავარი თემები ენერგეტიკის, სარკინიგზო და საბორნე ტარიფების, საწარმოთა ვალებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხები იყო.

გუშინ, რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი იგორ ლევიტინი აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის საკითხისადმი იმედიანად იყო განწყობილი. რაც შეეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, იგი ვარაუდობს, რომ მხარეები მთელ რიგ საკითხებზე კვლავ ვერ შეთანხმდებიან.

კომისიის სხდომაზე რუსეთმა საქართველოს საზღვარზე სატრანზიტო ბაჟისა და ფიტოსანიტარული მოსაკრებელის გაუქმების საკითხი დასვა. რუსი გადამზიდავები ტრანზიტის დეკლარაციისთვის საზღვარზე 100 ლარს იხდიან, რასაც რუსეთის ფედერაცია აპროტესტებს. რაც შეეხება ფიტოსანიტარულ მოსაკრებელს, მისი ოდენობა 30 ლარით, ხოლო ქვითრის ღირებულება 5 ლარით არის განსაზღვრული.

რაც შეეხება ქართული მხარის მოთხოვნებს, ძირითადი აქცენტი კონფლიქტის რეგიონებში საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ქართული კონტროლის დაწესებაზე იქნა გადატანილი. აღნიშნული საკითხი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ დააყენა, რომელმაც ოფიციალური თბილისის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ჰონკგონგის სამიტზე გააჟღერა. საქართველო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მხარდაჭერის სანაცვლოდ რუსეთს თავის პირობებს უყენებს.

**"საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ორი არალეგალური საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტის არსებობაა. რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტულ ნაწილებს შორის საქონლის არალეგალური მიმოქცევა ჩვენს ქვეყნებს შორის დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებას არღვევს. მეტიც, საქართველოს მთავრობა ამ ქმედებას სავაჭრო წესების დარღვევად და არალეგალურად მიიჩნევს, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძირეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. საქართველო მხარს უჭერს საკონტროლო-გამშვები პუნქტების ლეგალიზებას. ამ პრობლემის ეფექტურად გადაჭრის შემთხვევაში, საქართველო რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას მხარს დაუჭერს,"** - განაცხადა ირაკლი ჩოგოვაძემ ჰონგკონგში WTO-ს მე-6 მინისტერიალზე მოხსენებით გამოსვლისას. ჩოგოვაძემ, ამ საკითხის გარდა, რუსეთს კიდევ ორი პირობა წაუყენა. **"რუსეთსა და საქართველოს შორის აქციზური საქონლით ლეგალური ვაჭრობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია, რომ რუსეთის მხარემ ყაზბეგი-ზემო ლარსის (ლეგალურ) საბაჟო გამსვლელ პუნქტზე და პორტ "კავკაზში" სააქციზო ხაზი აამოქმედოს,"** - დასძინა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა.

ირაკლი ჩოგოვაძემ მინისტერიალზე გამოსვლისას, სურვილი გამოთქვა, რუსეთის ფედერაცია WTO-ს ინტელექტუალური საკუთრების ხელშეკრულების პრინციპებს და წესებს დაექვემდებაროს. ასევე, ქართული მხარე რუსეთისგან 2004 წელს, ორ ქვეყანას შორის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების შესრულებას და რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების ფალსიფიკაციის აღსაკვეთად აქტიური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

**"საქართველო კიდევ ერთხელ ადასტურებს მზადყოფნას რუსეთის ფედერაციასთან შემდგომი კონსტრუქციული დიალოგისათვის და იმედოვნებს, რომ ზემოთ მოყვანილ საკითხებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან შესაბამისი ქმედებები მოჰყვება,"** - ასე დაასრულა თავისი სიტყვა მინისტრმა.

ირაკლი ჩოგოვაძის გამოსვლის დასრულების შემდეგ რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის მინისტრმა გერმან გრეფმა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. შეხვედრა დღეს გაიმართება.

პარალელურ რეჟიმში, თბილისში შეკრებილი რუსული დელეგაციის წინაშე, საქართველოს პოზიციას ეკონომიკური რეფორმების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე აფიქსირებდა. მინისტრის განცხადებით, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ მანამ იდგება, სანამ ორ ქვეყანას შორის არალეგალური საბაჟო-გამშვები პუნქტები იარსებებს. შეგახსენებთ, რომ საუბარი ფსოუს და როკის გვირაბის პუნქტებზეა.

სასტუმრო "თბილისი მერიოტიდან" მოლაპარაკებებმა სახელმწიფო კანცელარიაში გადაინაცვლა, სადაც რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის მინისტრის იგორ ლევიტინისა და პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა აფხაზეთში სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხზე და რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ ისაუბრეს. ლევიტინი იმედოვნებს, რომ ქართული მხარე მხარს დაუჭერს აფხაზეთის სარკინიგზო ხაზის ამოქმედებას და სოჭი-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოები დაიწყება.

**"აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხის განხილვისას წინ წავიწიეთ. ახლოს ვართ იმასთან, რომ ეს თემა ამოიწუროს და რკინიგზის აღდგენა რეალურად დაიწყოს,"** - განაცხადა ლევიტინმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხებზე რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ვლადიმირ პუტინმა და ედუარდ შევარდნაძემ 2003 წლის 7 მარტს, სოჭში გამართულ შეხვედრაზე მოაწერეს ხელი.

თუმცა, ამ საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ დაუდასტურებია თანხმობა სოჭი-ინგირის მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების დაწყების თაობაზე.

რუსულ-ქართული შეხვედრების კიდევ ერთი ციკლი დღეს გაიმართება - რუსული და ქართული ბიზნესწრეები ქართულ-რუსულ ბიზნესფორუმზე შეხვდებიან ერთმანეთს. სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომა და ქართულ-რუსული ბიზნესფორუმი ჯერ კიდევ ორი თვის წინ უნდა გამართულიყო, თუმცა ოფიციალური წრეების განცხადებით, ამას ხელი ორ ქვეყანას შორის არსებულმა დაძაბულმა ურთიერთობებმა შეუშალა.

უცხოეთი

# აშშ-ს კონგრესი რუსული არასამთავრობოების შეზღუდვის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტს მხარს უჭერენ როგორც რესპუბლიკელი, ასევე დემოკრატი კონგრესმენები. რეზოლუციის ავტორები არიან წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი, რესპუბლიკელი ჰენრი ჰაიდი და კომიტეტის წევრი, დემოკრატი ტომ ლანტოსი.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი კანონპროექტი "უპრეცედენტო შეზღუდვებს აწესებს უცხოურ დახმარებაზე". გარდა ამისა, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ **რუსეთის მთავრობის სურვილი, "არასამთავრობო ორგანიზაციები სადაზვერვო სამსახურების მიერ რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ არ იყოს გამოყენებული, შეიძლებოდა სხვა, უფრო რბილი და შესაფერისი ზომებით განხორციელებულიყო".**

ლანტოსის განცხადებით, წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული რეზოლუცია "გაფრთხილებაა რუსეთის მთავრობისთვის, რომ ის საშიშ და კონტრპროდუქციულ კურსს დაადგა".

შეგახსენებთ, აღნიშნული კანონპროექტი რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი მოსმენით ნოემბრის ბოლოს დაამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები წინააღმდეგნი იყვნენ. კანონპროექტის მეორე მოსმენა 9 დეკემბერს იყო დანიშნული, თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად, განსაკუთრებით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ჩარევის შემდეგ, მისი მიღება გადაიდო. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ - ნიკოლას ბარნსმა დეკემბრის დასაწყისში მოსკოვში ყოფნისას ცალსახად მიანიშნა რუსებს, რომ ვაშინგტონი მსგავსი კანონის მიღებას არ მოიწონებდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირის წასვლისთანავე რუსეთის საზოგადოებრივმა პალატამ დოკუმენტის ექსპერტიზა მოითხოვა, რის შემდეგაც ვლადიმირ პუტინმა დეპუტატებს პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის საბოლოოდ დამტკიცება გადააფიქრებინა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნულ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა გადაწყვიტა და თავისი ადმინისტრაციის უფროსს უმოკლეს ვადაში შესაბამისი პაკეტის მომზადება დაავალა.

შეგახსენებთ, უცხოეთიდან დაფინანსების რუსეთის ინტერესებისთვის მიუღებლობაზე ვლადიმირ პუტინი ჯერ კიდევ ზაფხულში ალაპარაკდა. **"რუსეთში (საზოგადოებრივი ორგანიზაციების) პოლიტიკური საქმიანობის უცხოეთიდან დაფინანსებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები,"** - მკაცრი ტონით განაცხადა მან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას. გასაგებია რუსეთის ლიდერის გაცხარება, მისივე თქმით ხომ, "ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს", მით უმეტეს, როცა აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებით, მომავალ წელს "რუსეთში დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობის პროგრამებისთვის" 85 მლნ აშშ დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. აქედან 5 მლნ დაიხარჯება "პოლიტიკური პარტიების განვითარების მხარდაჭერის პროგრამებზე".

სწორედ ამ "სტრატეგიული კურსის" გაგრძელება იყო ზემოაღნიშნული კანონპროექტის ინიცირება სახელმწიფო სათათბიროში.

თუმცა, როგორც ჩანს, კრემლის ანალიტიკოსებმა ყველაფერი ბოლომდე ვერ გათვალეს. დღეს კი საკუთარი გადაწყვეტილების შერბილება უწევთ.

*24 საათი*

# ჩინეთში უბედურ შემთხვევათა ჯაჭვი გრძელდება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ლაოიუანის ერთ-ერთ საავადმყოფოში გუშინ ხანძარი გაჩნდა. ჩინური საინფორმაციო სააგენტო "სინჰუა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტმა 40-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. 24 მათგანი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა, ხოლო დანარჩენი პაციენტები მძიმე ხარისხის დამწვრობებით მეზობელ საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალნენ.

დაღუპულთა უმრავლესობას პაციენტები შეადგენენ. თვითმხილველთა თქმით, თავის გადარჩენის მიზნით, საავადმყოფოში მყოფი ადამიანები ხანძარმოკიდებული შენობის ფანჯრებიდან ხტებოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, საავადმყოფოში ხანძარი ადგილობრივი დროით 16 საათსა და 30 წუთზე დაიწყო. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

გასული თვის განმავლობაში ჩინეთში რამდენიმე უბედური შემთხვევა მოხდა. ერთ-ერთი მათგანი ქვანახშირის საბადოში გაჩენილი ხანძარი იყო, რომელმაც 140-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. კიდევ ერთი ინციდენტი ქიმიურ ნივთიერებათა გადამამუშავებელ ქარხანაში მოხდა. აფეთქების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერება ბენზოლი მდინარე სუნგარში ჩაიღვარა. სასმელი წყლის დაბინძურების გამო, ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქალაქ ჰარბინს რამდენიმე დღით წყლის მიწოდება შეუწყდა, ხოლო პროვინცია ჰეილუნცზიანში მდებარე ქვანახშირის საბადოში გაჩენილი ხანძრის შემდეგ, ჩინეთში საბადოებში მომუშავე ადამიანთა უსაფრთხოების ნორმათა დაცვის გამკაცრებაზე ფიქრი სერიოზულად დაიწყეს.

*24 საათი*

# ინდოეთის სახელმწიფო ავიაკომპანია სტანდარტებზე ზრუნავს

ინდოეთის სახელმწიფო ავიაკომპანიის მესვეურები სერიოზულად შეაფიქრიანა კომპანიაში დასაქმებული ბორტგამცილებლების მძიმე წონამ. ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ტანსრულ სტიუარდესებსა და სტიუარდებს დღეიდან დიეტაზე გადასვლა მოუწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საჰაერო სივრცის დიასახლისობასა და მასპინძლობასთან გამომშვიდობება მოუხდებათ.

ამჟამად "Air India"-ში 1 600 ბორტგამცილებელი მუშაობს, რომელთა 10 პროცენტიც დაშვებულ ნორმებზე უფრო მეტი წონისაა. მართალია, ნაციონალური ხაზი უსაფრთხოების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, სამაგიეროდ, როგორც აღმოჩნდა, პრობლემები მას იმიჯთან დაკავშირებით ნამდვილად აქვს. თუმცა, მძიმეწონიანი ბორტგამცილებლების გარდა, ავიაკომპანიას მუშაობაში ისეთი ხარვეზებიც აქვს, როგორიცაა რეისების არცთუ იშვიათად დაგვიანება და მგზავრების დაუდევრად მომსახურება. მაღალი კონკურენციის პირობებში კი, რაც მხოლოდ ინდურ ავიაკომპანიებს არ გულისხმობს, სახელმწიფო ავიახაზის მესვეურებს მუშაობის გაუმჯობესებაზე ფიქრი მოუხდათ. როგორც სტატისტიკური გათვლებით ირკვევა, თუ მიმდინარე წელს "Air India"-ს 14 მილიონი მგზავრის მომსახურება მოუწია, 2010 წლისთვის ეს რიცხვი 45 მილიონამდე გაიზრდება.

ხარისხის გაუმჯობესება კი ავიაკომპანიამ მომავალი 10 წლის მანძილზე, პირველ რიგში, 68 ახალი ბოინგის შეძენით გადაწყვიტა, მაგრამ აქცენტი ასევე თანაბრად ბორტგამცილებლების წონაზეც გაკეთდა. ინდური კანონების თანახმად, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ბორტგამცილებლის ადგილზე მუშაობა 50 წლამდე შეუძლიათ, ხოლო მამაკაცებს - 58 წლის ასაკამდე. წონასთან პრობლემები კი ხშირ შემთხვევაში სწორედ ხანშიშესულ ხალხს აქვს. "შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მგზავრის დამოკიდებულება, როდესაც ხედავს, რომ თავად ბორტგამცილებელს არ შეუძლია უსაფრთხოების ღვედის შეკვრა?" - აცხადებენ ავიაკომპანიების წარმომადგენლები.

სახელმწიფო ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას არ აპროტესტებენ არც ბორტგამცილებლები. მათი თქმით, ეს მათსავე ინტერესებშია.

*ბი-ბი-სი*

# უსახელო კუნძულები თანამედროვე რეალობაში

გაერო ინდონეზიას მის იურისდიქციაში მყოფი ყველა კუნძულისთვის სახელის დარქმევას თხოვს. როგორც ჩრდილოეთ სულავესის პროვინციის ქალაქ მანადოში გამართულ სემინარზე ინდონეზიის თევზჭერისა და ზღვის საკითხების შესწავლის მინისტრმა, ფრედი ნუმბერიმ განაცხადა, კუნძულების "ნათლობა" 2007 წლისთვის უნდა დასრულდეს. მსოფლიოში უმსხვილესი არქიპელაგის - ინდონეზიის შემადგენლობაში დაახლოებით 17 500 კუნძული შედის, რომელთაგან მხოლოდ 7 870-ს აქვს სახელი.

კუნძულებისთვის სახელების გამონახვა მომავალში ტერიტორიულ საკუთრებაზე დავას თუ არ შეამცირებს, მინიმუმამდე მაინც დაიყვანს. ტერიტორიული დავა კი დიდი ხანია, რაც არსებობს ინდონეზიას, მალაიზიას, სინგაპურსა და ფილიპინებს შორის.

თუმცა, მოდავე სახელმწიფოებისთვის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი მაინც ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება. კუნძულების გარკვეული რაოდენობა ხან იძირება, ხან კი კვლავ ჩნდება, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მათი ზუსტი რაოდენობის დადგენას.

*რიანოვოსტი*

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის "განათლების დაგეგმვისა და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება" ფარგლებში აცხადებს ტენდერს

**"გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შემუშავება"**

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა
2005 წლის 28 დეკემბერი
დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე
www.undp.org.ge

# რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიის დირექტორი ძებნილია

*თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის მოთხოვნა და რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის კოლონიის დირექტორს ნიკოლოზ კვანტალიანს, რომელზეც გუშინ ოფიციალურად ძებნა გამოცხადდა, დაუსწრებლად, წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. თანამდებობის არაერთგზის ბოროტად გამოყენება - ასეთი გახლავთ ძებნილისთვის წარდგენილი ბრალდება.*

რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიის ყოფილ დირექტორს გენერალური პროკურატურა მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებაში ედავება.

როგორც გენერალური პროკურატურის სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი ვალერი გრიგალაშვილი განმარტავს, ნიკოლოზ კვანტალიანმა არაერთხელ მიმართა სასამართლოს წარდგინებით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის გასამართლებულების ვადაზე ადრე გათავისუფლების მოთხოვნით.

**"ის პირები, რომელთა ვადაზე ადრე გათავისუფლებასაც კვანტალიანი ითხოვდა, რუსთავის N1, საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ძალიან მოკლე დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ, ამიტომ შეუძლებელი იყო მათი პიროვნული მახასიათებლების შეფასება. საქმე ისაა, რომ კვანტალიანის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ ვადაზე ადრე გათავისუფლებულებმა მოკლე პერიოდში სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს"**, - აცხადებს ვალერი გრიგალაშვილი.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ნიკოლოზ კვანტალიანის წარდგინების საფუძველზე, ვადაზე ადრე გათავისუფლებულთა შორის არის აფხაზი ეროვნების პატიმარი აბუხბა, რომელმაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ოჯახის ყველა წევრი დახოცა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წლების წინ აბუხბას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც მსჯავრდებულს მოგვიანებით 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა. კვანტალიანის წყალობით, აბუხბა 15-წლიანი პატიმრობის შემდეგ გათავისუფლდა.

კვანტალიანის წარდგინების საფუძველზე, რამდენიმე დღის წინ გათავისუფლდა ცნობილი ავტორიტეტი დავით ქარსელაძე, მეტსახელად "კალატოზა", თუმცა, ამის გამო, კვანტალიანს ბრალდება არ წარდგენია.

"კალატოზა" ქალაქ რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდა, რაც პროკურატურის მხარემ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, რუსთავის სასამართლო დავით ქარსელაძის გათავისუფლების საკითხს რამდენიმე დღეში განიხილავს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ნიკოლოზ კვანტალიანსა და პროკურორს შორის, რომლიც მას დაკითხვაზე იბარებდა, რამდენჯერმე შედგა სატელეფონო შეთანხმება. კვანტალიანი პირობას დებდა, რომ დაკითხვაზე გამოცხადდებოდა და გამოძიებასთან ითანამშრომლებდა. მას ბოლო ხუთი დღის მანძილზე უცდიდნენ გენერალურ პროკურატურაში, ბოლოს ოჯახშიც მიაკითხეს, თუმცა მისი ადგილ-სამყოფელი ვერ დაადგინეს.

ნიკოლოზ კვანტალიანი რუსთავის N1 კოლონიის დირექტორის თანამდებობაზე, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ, გიორგი პაპუაშვილის იუსტიციის მინისტრობისას დაინიშნა.

*24 საათი*

# პოლიციელებს ვიზუალური სასწავლო პროგრამითაც მოამზადებენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში პოლიციელთა მომზადება თეორიულ კურსთან ერთად ამჟამად ვიზუალური სასწავლო პროგრამითაც მოხდება.

გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" პოლიციელთა პროფესიული მომზადების ინტერაქტიული სასწავლო მოდულების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" და საქართველოს პოლიციის აკადემია იყო.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორმა ლევან იზორიამ განაცხადა, მოდულები შედგება მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელმძღვანელოებისა და CD-ებისაგან. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა პირველად იგეგმება საქართველოში. იგი ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ადაპტირებული პროგრამაა და CD მოდულები ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოყვანილი.

როგორც იზორია განმარტავს, ეს პროგრამა პოლიციელთა პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე არის ორიენტირებული და, ძირითადად, ხორციელდება ვიზუალური მასალების გამოყენებით. ამგვარი მეთოდი გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე თეორიული სასწავლო პროგრამა.

მოდულები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის ძალის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, კომუნიკაციების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მსხვერპლთან ურთიერთობა, ჩვენებების ჩამორთმევა და სხვა სამართლებრივი საკითხები. პოლიციის აკადემიის მასწავლებლებმა, მოდულების გამოყენების თვალსაზრისით, შესაბამისი ტრენინგები უკვე გაიარეს. გუშინდელ პრეზენტაციას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, ექსპერტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები.

*ინტერპრესნიუსი*



*ახალი პროგრამა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე არის ორიენტირებული.*

# იუსტიციის მინისტრი შოთა კოპაძის საკითხის დასმას არ გამორიცხავს

*იუსტიციის მინისტრმა კონსტანტინე კემულარიამ სამინისტროს 2005 წლის მუშაობის ანგარიში საჯაროდ, ჟურნალისტების თანდასწრებით წარმოადგინა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. მართალია, მინისტრმა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სისტემაზე ცალ-ცალკე ისაუბრა, მაგრამ მისი ანგარიშის დიდი ნაწილი მაინც სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს დაეთმო.*

თამარ კაციტაძე

იუსტიციის სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთი წარმატებული ნაწილია სამოქალაქო რეესტრში მიმდინარე რეფორმები. როგორც კემულარიას მოხსენებიდან გაირკვა, გაერო-ს განვითარების ფონდისა და ევროკავშირის დახმარებით, 2005 წელს სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიული ორგანოების ხუთი ოფისი გარემონტდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა. სამოქალაქო რეესტრი იუსტიციის სამინისტროში 2004 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც საპასპორტო სისტემა სამოქალაქო სტრუქტურად გარდაიქმნა და შს სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს გადაეცა. გაერთიანდა საპასპორტო და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები, სადაც კადრები კონკურსის საფუძველზე შეირჩა. მინისტრის თქმით, 2006 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები, რომელიც სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიული ორგანოების კიდევ 20 ოფისის გარემონტებას მოხმარდება.

**"სამოქალაქო რეესტრის სისტემის მუშაობის ეფექტურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წელს ოთხჯერ გაიზარდა მოქალაქეების მოთხოვნა დოკუმენტებზე. 2005 წლის იანვრიდან მილიონზე მეტი პირადობის მოწმობა და პასპორტი გაიცა"**, - აღნიშნა კემულარიამ.

უფრო აქტიური და ცოტა აგრესიულიც იყო მინისტრი კოტე კემულარია პენიტენციური სისტემის რეფორმებზე საუბრისას. მინისტრის თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პენიტენციური სისტემის რეაბილიტაციის კუთხით, რაც უცხოელი ექსპერტების შეფასებებშიც აისახა.

**"საქართველოში მომუშავე ევროსაბჭოს ექსპერტთა მოხსენება, რომელიც ბრიუსელში გაკეთდა, პოზიტიური იყო. ამ შეფასებით, საქართველოში სასიკეთო ცვლილებებია ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, გაუმჯობესებულია მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემაში. თუმცა, არის გარკვეული წინადადებები და შენიშვნები, რასაც სამინისტრო მუშაობის პროცესში გაითვალისწინებს"**, - განაცხადა კემულარიამ, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიხსენა სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ წინა მინისტრების პერიოდში დაიწყო.

მისი ინფორმაციით, 2005 წელს ამოქმედდა ქალთა და არასრულწლოვანთა ახალი საპყრობილეები, აშენდა ქუთაისის საპყრობილე და განხორციელდა რუსთავის N6 საპყრობილის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა პენიტენციური სისტემის კადრების დაკომპლექტების თვალსაზრისით - ქუთაისისა და რუსთავის ახალ საპყრობილეებში კონკურსის წესით შეირჩა 500 თანამშრომელი, რომელთაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ახლად გახსნილ სასწავლო ცენტრში სპეციალური ტრენინგი გაიარეს. მომავალ წელს კი თბილისში ახალი საპყრობილე აშენდება, რისთვისაც ბიუჯეტში 9 მლნ. ლარი გამოიყოფა.

აღნიშნული ინფორმაციაში ახალი არაფერია, სამაგიეროდ მოულოდნელი აღმოჩნდა კემულარიას მხრიდან ღია, უარყოფითი დამოკიდებულების გაჟღერება დღევანდელი სამართალდამცველი, უფრო სწორად, საგამოძიებო ორგანოებისადმი.

**"ის, რომ თბილისის N5 საპყრობილეში 1800 ადგილზე 3800 პატიმარი მოდის, იუსტიციის სამინისტროს დანაშაული არაა. განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში პატიმრების რაოდენობიდან 70 პროცენტი მაინც უნდა იყოს მსჯავრდებული, ჩვენთან კი პირიქითაა - 70 პროცენტი (6800 პატიმარი) მიუსჯელია. ეს გამოძიებისა და სასამართლოს არაეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს. ჩვენ არ გვაქვს უფლება, მიუსჯელი პატიმრები საპყრობილედან სხვადასხვა დაწესებულებაში გადავიყვანოთ. დღეს არსებული მდგომარეობით, მსჯავრდებულები მიუსჯელ პატიმრებზე უკეთეს პირობებში ცხოვრობენ"**, - აღნიშნა კემულარიამ.

იუსტიციის მინისტრის მხრიდან მოულოდნელი აღმოჩნდა თავად სასჯელაღსრულების სისტემის საქმიანობის უარყოფითად შეფასებაც. როგორც გვახსოვს, აქამდე კემულარიას შოთა კოპაძის საქმიანობაზე პრეტენზია არ ჰქონია; ყოველ შემთხვევაში - ხმამაღლა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხის დასმაც არ გამორიცხა.

**"პოსტს ბევრი თანამშრომელი ვერ შეინარჩუნებს და მათ შორის, შესაძლოა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძეც იყოს. მე ერთ ადამიანზე ჩაციკლული არ ვარ. 2006 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შეიძლება სულაც გაუქმდეს და, მის ნაცვლად, სხვა სტრუქტურა ჩამოყალიბდეს"**,- განაცხადა კემულარიამ.

როგორც ჩანს, კანონიერი ქურდის დავით ქუარსბედიანის, იგივე "წრიპას", აბანოში გასეირნებამ თუ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული დაპირისპირების გამომჟღავნებამ შოთა კოპაძის სავარძელი აშკარად შეარყია. თუმცა, ალბათ, ხელისუფლება საპატიო პერსონასთან უმტკივნეულოდ განშორების ფორმებზე ფიქრობს და შედეგიც ამიტომ გვიანდება.

გუშინდელ ანგარიშში მინისტრს არც მონიტორინგის საბჭოს მომდურებული წევრები დავიწყებია.

**"ზოგიერთ ტვინფრატუნა უფლებადამცველებს ვურჩევდი, ჩააჭიჭინდეს პრობლემის გადაწყვეტის რეალურ გზებს და იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ არაკვალიფიციურ განცხადებებს ნუ გააკეთებენ"**, - განაცხადა კემულარიამ.

მისივე თქმით, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მონიტორინგის საბჭოს გაუქმება იმით იყო გამოწვეული, რომ აღნიშნული საბჭო თავის დროზე კანონდარღვევით შეიქმნა. მომავალ წელს კი სასჯელაღსრულების თითოეულ დაწესებულებასთან საზოგადოებრივი კომისია შეიქმნება, რომლებიც მინისტრს პერიოდულად დასკვნებსა და რეკომენდაციებს წარმოუდგენს.

**"ზოგიერთი უცოდინარი უფლებადამცველი პატიმართა ცემის ფაქტებს იუსტიციის სამინისტროს მიაწერს, მაშინ, როდესაც თავად ვართ ასეთი დარღვევების გამომვლენები. ნაცემი პატიმრების საპყრობილეში შემოყვანასთან დაკავშირებით ჩვენ ინფორმაციას ზედამხედველ პროკურორს ვაწვდით"**, - განაცხადა მინისტრმა და ნათქვამის დასამტკიცებლად ციფრები მოიშველია. მისი თქმით, დროებითი დაკავების იზოლატორებიდან სხეულის დაზიანებებით საპყრობილეებში 457 პატიმარია გადაყვანილი.

ამ და სხვა საკითხებზე იუსტიციის მინისტრმა გუშინ ვრცლად ისაუბრა. სამომავლო გეგმების წარმატების საწინდრად კი კემულარიამ მომავალი წლის ბიუჯეტი დაასახელა, რითაც არა მარტო ცალკეული სტრუქტურების გარემონტება იგეგმება, არამედ თანამშრომლების ხელფასებიც გაიზრდება. იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა 41 187 ლარი შეადგინა, 2006 წელს კი ეს თანხა კიდევ 30 პროცენტით გაიზრდება.




## საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) განცხადება

"დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის 17 დეკემბრიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) აცხადებს ღია კონკურსს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის 3 (სამი) ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

მათ შორის, ერთი თანაშემწე - 900 ლარი,
ორი თანაშემწე - 450 ლარი.

**კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს**:

- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ბუნებრივი მონოპოლიის შესაბამისი სფეროს (ენერგოსექტორის) რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა;
-windows 98/2000/2002/xp, excel, internet, MS office პროგრამების ცოდნა;
-კომუნიკაბელურობა, პასუხისმგებლობის უნარი;
-სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
-სასურველია კანდიდატს ჰქონდეს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიაში ა/წ 30 დეკემბრის 17 საათამდე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

- წერილობითი განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე, მითითებით, თუ რომელი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შემოაქვს განცხადება;
- ავტობიოგრაფია (CV)
- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომის) ასლი;
- ორი სარეკომენდაციო წერილი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

საკონკურსო კომისიის კოორდინატებია: საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

**მისამართი: ალ. ყაზბეგის N45,
ტელ.; 31 18 96, 39 95 62.**

## დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

ა/წლის 13 დეკემბრიდან შპს "საქართველოს რკინიგზა"-მ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა (გამცილებლის ფორმები, რელსი და სხვა).

შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 სექტემბრის №811 ბრძანებულებით, 2005 წლის 4 ნოემბრიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საქართველოს საინვესტიციო ცენტრი".

გთხოვთ, დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს მოგვმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე - ქ. თბილისი ჩიტაძის №4.

**ტელ: 28-48-79**

*სალიკვიდაციო კომისია*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ანკეტა**

**სახელი, გვარი**...................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**...................................
**საკონტაქტო ტელეფონი**...................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "გოცირიძე";
7. მეტროს სადგური [illegible] II", ([illegible] მეტროს სადგური [illegible]);
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 46 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად

# არ ვიცოდი

ყველა ხალხურ გამოთქმას დრო შესაბამისად ასხვაფერებს, ახლებურ შინაარსსა და დატვირთვას ანიჭებს. მაგალითად, ცნობილი გამოთქმა "ორ ბატსაც ვერ ანდობ", იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულებით დეპარტამენტს, პენიტენციალურ სისტემას და მათგან გამომდინარე, მთელ ქვეყანას ასეთი ვარიანტით - "ორ პატიმარს ვერ ანდობ", მოუხდებოდა. მე მგონი, სწორია, აბა რა, ანდობ?!

ვერასდროს დავიჯერებდი, რომ ციხიდან სადაც გინდა, როცა გინდა, ვისთან ერთადაც გინდა იქ წახვალ. მე, ეტყობა, ციხეზე, იქ არსებულ წესებზე რაღაც ჩემებური და როგორც გაირკვა, არასწორი წარმოდგენა მქონდა (ოხ, ეს ამერიკული ფილმები!). არ ვიცი, რა სისულელე დამემართა, მაგრამ რატომღაც ასე ვიცოდი, რომ ციხეში დამნაშავე ზის და მას სასჯელი აქვს დაკისრებული. რატომღაც ვიცოდი, რომ ციხეში განსაკუთრებული სიმკაცრე, კონტროლია, ნარკოტიკის კამერიდან კამერაში, როგორც რესტორანში სუფრიდან სუფრაზე შამპანურის გაგზავნა მიღებული არ არის. არც ის ვიცოდი, რომ პატიმრებში იერარქია უნდა არსებობდეს, რომელსაც ციხის ადმინისტრაციაც მკაცრად უნდა იცავდეს და "საპატიო" პატიმარი იმდენად საპატიოა, რომ შავ-თეთრ (გემოვნება ჰქონიათ!), გრძელ, რბილ, ფაფუკ, ასპროცენტიანი კოტონის კომფორტულ სააბაზანო ხალათში გამოწყობილი, სასურველ კამპანიასთან ერთად, დასაბანად მხოლოდ გოგირდის აბანოების ლუქსში დადის და ზურგს კი ნაზად ბადრაგი უხეხავს. არც ის ვიცოდი, რომ სურვილის შემთხვევაში "საპატიო" პატიმრისთვის გოგოები (რამდენიც უნდა) პირდაპირ "პოსეიდონიდან" გადმოჰყავთ. არც ის ვიცოდი, რომ კარგი ვისკი ან ნებისმიერი სხვა დახვეწილი ალკოჰოლური სასმელითა და ნარკოტიკით "საპატიოს" მომარაგება-უზრუნველყოფა ციხის ადმინისტრაციის ვალია. არც ის ვიცოდი, რომ ყველა ეს და კიდევ უამრავი სხვა ფაქტი სრულიად ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენა, ციხის ცხოვრების აბსოლუტურად ტიპური სურათია და ჩემს გარდა ეს ყველამაც იცოდა. ციხეების უფროსი წითელლოყება, საყვარელი, ბუნჩულა კაცი რომ იყო, რომელსაც თეა თუთბერიძე "უსაფუძვლოდ" ერჩოდა, კი ვხვდავდი, მაგრამ ასეთი საყვარელი, კეთილი, სხვისი ჰიგიენის, კომფორტის, სულიერი და ფიზიკური სიმყუდროვის მოყვარულ-დამცველი თუ იყო, ნამდვილად არ ვიცოდი. იუსტიციის ამჟამინდელი მინისტრი მოსკოვში ელჩობისას ყველაზე საპატიო კანონიერ ქურდთან რომ მეგობრობდა, რესტორან-რესტორან დადიოდა, თვითმხილველებისგან კი გამიგია, მაგრამ ყველა ქურდის ერთგული მეგობარი თუ იყო, ეს არ ვიცოდი. მეგობრობის უნარი კარგი თვისებაა, ხომ ნათქვამია, "მეგობრობა გზად და ხიდად"-ო. მოდით, დღევანდელ ყაიდაზე ეს ფრაზაც გადავაკეთოთ და გამოვა - "მეგობრობა გზად და ციხედ". რაღაც კარგად არ ჟღერს, მაგრამ სამაგიეროდ აქტუალურია (არ გადამაკეთებინეს ყველა ანდაზა!)! არც ის ვიცოდი მე სულელმა, რომ საქართველოში სრულიად ხელშეუხებელი ამდენი ქურდი, ჩინოვნიკი, მინისტრი არსებობს. ეს კარგია! აბა, ყველას სალომე ზურაბიშვილივით ხომ არ მოხსნიან. საბოლოოდ თავს ხომ არ მოიჭრიან! არც ის ვიცოდი, რომ წითელლოყება მეციხისა და დარდიმანდი მინისტრის საყვარელი სიმღერა "გალიაში ბულბულები ზიან" ყოფილა, ბულბულები, ანუ "საპატიო" პატიმრები კი მათი სათუთად მოსავლელი, მოსაფერებელი, საამაყო და სახეირო ჩიტები. არც ის ვიცოდი, რომ "წრიპა" ამდენად "არაწრიპა", დიდი კაცი ყოფილა. აბა, რაღა წრიპაა, თუ მთელი დეპარტამენტები, სამინისტროები მის მოვლა-მოწესრიგება-მოფერებაში ირჯებიან, ერთმანეთს ასწრებენ. "წრიპები" თვითონ ყოფილან! ნამდვილად არ ვიცოდი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აბანოში პატიმრის ჭყუმპალაობა-ნავარდის ხელის შეშლა ჯერარგაგონილი სითამამის ტოლფასი ყოფილა. არ ვიცოდი, რომ ქართული ციხეების სინამდვილეში გოჩა მანველიძის მაღალმხატვრული რომანებისთვის ამდენი მასალა, ასეთი სიუჟეტებია შემონახული.

სამწუხაროდ, არ ვიცოდი, რომ ამდენი რამ არ ვიცოდი!

# ეს ხომ, უბრალოდ, ზღაპარია







კონაშევიჩი ვ.მ. ილუსტრაცია 1920 წელი.




აფანასიევი ა. ფ. ილუსტრაცია 1899 წელი.



აფანასიევი ა. ფ. 1899 წელი.





განუმეორებელი ინტელექტით, პრინციპულობით, ზნეობით, ელეგანტურობითა და შარმით გამორჩეული მაჟორიტარი დეპუტატის ბესო ჯუღელის შეიძლება ლოგიკური, მაგრამ განსაკუთრებულად თვალშისაცემი ამ ბოლო პერიოდის ტელეაქტივობა ათასგვარ სრულიად განსხვავებულ ეჭვს, კითხვას ბადებს. თუმცა, მეორე მხრივ, თავისი საქმე თვითონ იციან. მით უმეტეს, რომ ხალხის ეს რჩეული საზოგადოების მხრიდან ლოკალურად პარლამენტის, საკანონმდებლო ხელისუფლების პრობლემად უფრო აღიქმება. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ კვირაში მისი ქონების (რა საშინელი სიტყვაა!), ოჯახური იდილიისა და განსაკუთრებით კი საგარაკე სახლის ნახვამ ყველა ბავშვისთვის საყვარელი და კარგად ნაცნობი ზღაპარი "მებადური და ოქროს თევზი" მომაგონა.

უნებლიეთ გაჩენილი პარალელი, ჩემი პირადი ასოციაციები მინდა გაგიზიაროთ და პუშკინის ცნობილი ზღაპარი ქართულ ბიზნესმენურ-პოლიტიკურ სპექტრში შემოგთავაზოთ. მართალია, მე პუშკინამდე ძალიან, ძალიან ბევრი მაკლია, მაგრამ მგონია, რომ ბესო ჯუღელიც მისი პერსონაჟი ვერასდროს გახდებოდა.

■ ■ ■

იყო და არა იყო რა, ერთი ცოლ-ქმარი იყო, რომლებსაც ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ერთმანეთით სულდგმულობდნენ, ივსებოდნენ. ისხდნენ ბუხართან და ერთმანეთით ტკბებოდნენ, მაღალინტელექტუალურ თემებზე საუბრობდნენ და ცხოვრება მშვენიერი ეჩვენებოდათ, მაგრამ გადიოდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს ცოლმა ქმარს უთხრა - აღარ მინდა მხოლოდ სპორტული აღნაგობის, სასიამოვნო შესახედაობის, ჭკვიანი, მოსიყვარულე კაცის ცოლობაო. ბევრი ფულიც მინდაო. ბუხარსა და ინტელექტუალურ საუბრებს მოწყვეტა ქმარს ენანებოდა, მაგრამ რას გახდებოდა და ბიზნესში ჩაება. ცოტა ხანში ცოლი ისევ ეუბნება - აღარ მინდა ქალების ჰიგიენური პაკეტების მწარმოებლის ცოლობა, მარტო ფული. საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაც მინდაო და ქმარი ოქროს თევზის დასაჭერად ახლა უკვე პოლიტიკაში წავიდა. ცოტა ხანში ქალმა რიგითი პოლიტიკოსის ცოლობაც არ იკმარა და ქმარი მაჟორიტარი დეპუტატი გახადა. რაღაცა დრო მშვიდად ცხოვრობდნენ, ახლა უკვე მარმარილოს ბუხარს უსხდნენ, ერთმანეთითა და მიღწეულით ტკბებოდნენ, მაგრამ უცბად ცოლმა ტბის პირას სახლი მოინდომა. საბრალო ქმარმა არ იცოდა, საქართველოში ტბა სად ეპოვა, მაგრამ სიყვარული და ცოლის ახირება რას არ გაგაკეთებინებს. ბევრი იარა თუ ცოტა, ტბაც მოძებნა და სახლიც ისეთი აუშენა, როგორიც მის ცოლს (ცნობილ ზღაპარში კი დედაბერს მესამე მოთხოვნაზე) უნდოდა. ზუსტად ისეთი ხის სახლი, დიდი აივნებით, კიბეებით, ქოთნის ყვავილებით, კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა თაბაშირის ბიუსტებით (ინტელექტს ვერც ერთ ეტაპზე ვერ ელეოდნენ), კლუმბებიანი, ბილიკებიანი ბაღით, შველით ხელში (ანუ სამყაროთი. უცნაური, მხოლოდ მათთვის გასაგები სიმბოლიკა), ცოლის დიდი, ფერადოვანი პორტრეტით, წინ გადაშლილი ტბით, ბატებით, ნავებით და, რაც მთავარია, განსაკუთრებული სიმყუდროვით. მალე ცოლს ესეც მობეზრდა და სოფლისთვის სახელის გადარქმევა და ახლის, "მშვენიერას" (ესეც სიმბოლიკაა) დარქმევა მოინდომა. დეპუტატი მიდგა-მოდგა, გამგებელი ნახა და ესეც შეუსრულა. მაგრამ ვაი, რომ ცოლს უკვე მთლიანად ტბაც, ტბის დედოფლობაც მოუნდა! არა უშავს, მაჟორიტარის გაუკეთებელი რა არის? მალე ალბათ საქართველოში ტბებსაც გაყიდიან და საბრალო მაგასაც უყიდის, დიდ ბაფთას გაუკეთებს და ფეხებთან მიართმევს. ყველაფერს უყიდის, შეუსრულებს, გადაარქმევს, ოღონდ სასიყვარულო მყუდროება არ დაირღვეს, ყვავილები ქოთანში სულ ჰყვაოდეს, ძაღლი კუდს სულ უქიცინებდეს, ლოკავდეს, ცისფერი აბრეშუმის ფარდები საძინებელში ნელი სიოსგან სულ ირხეოდეს, ფანჯრის მიღმა წყალი ლივლივებდეს, ჩიტები ჭიკჭიკებდეს, თაბაშირის მოაზროვნენი დუმდნენ, შვილიშვილები გულსა და თვალს ახარებდნენ და ას ამერიკულ დოლარად მაინც კოცნიდნენ, ცოლი კი სულ კმაყოფილი, ბედნიერი და მოღიმარი იყოს!

■ ■ ■

"ოქროს თევზის" დასასრული გახსოვთ? ვაი, რომ არ მთავრდება კარგად!

# ერთი პროფესიაც იკმარეთ

შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური, ნამდვილად შესამჩნევ-დასაფასებელი ოცდაოთხსაათიანი მუშაობის მიუხედავად, ამ უწყებისადმი არაერთგვაროვანი, მაქსიმალური, ზოგჯერ კი დაუმსახურებელი, უსამართლოდ მწვავე დამოკიდებულება საზოგადოებაში არა და არ მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები უკვე არა "ძაღლებად", არამედ ჩვეულებრივ ორფეხა ადამიანებად აღქმას იმსახურებენ; მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში მანქანებში ჩაჭედილი, უფორმო, უსაბუთო, კბილებამდე შეიარაღებული, შავ ქურთუკებში გამოწყობილი "ძაღლები" აღარ დათარეშობენ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნებისმიერი ასაკის მამაკაცებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე აღარ აჩერებენ, ვენებს არ უსინჯავენ და პირადი გუნება-განწყობის მიხედვით შეურაცხყოფას არ აყენებენ, წამალს არ უდებენ; მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა, მე რამდენადაც ვიცი, დღეს ფული აღარ ღირს; მიუხედავად იმისა, რომ არაკონტროლირებადი ტერიტორიების გარდა, საქართველოში ადამიანების გატაცება აღმოიფხვრა; მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად ნარკომოვაჭრეების დაჭერა (ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც კი დაიჭირეს), დიდი ოდენობით ნარკოტიკის ამოღება მიმდინარეობს; მიუხედავად იმისა, რომ პატრულმა ასე გაამართლა (ამაზე, მგონი, ორი აზრიც არ არსებობს) და მათდამი ხალხის ნდობა არამცთუ გაიზარდა (საიდან უნდა გაზრდილიყო?), არამედ ნულიდან გაჩნდა; ამ და კიდევ ბევრი სხვა რეალური შედეგების მიუხედავად ჯერ კიდევ მრავლად არსებული დარღვევების, უკანონობის გამო შსს-ს მიმართ უკმაყოფილება, სკეპტიციზმი და ხშირად გაღიზიანებაც კი არა და არ მცირდება. საზოგადოება აღშფოთებულია, რომ დასმენის მიუღებელი ფორმა მკვიდრდება; რომ პოლიციაში გადასახდელი ქრთამის რაოდენობამ კი იკლო, მაგრამ ოდენობა გაიზარდა; რომ წამლის "ბარიგა" ერთეულებს იჭერენ, ნარკოტიკს კი საქართველო მიაქვს; რომ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ახალგაზრდების, მათ შორის ფატალური შეტაკებების რაოდენობა არამცთუ შემცირდა, არამედ საგანგაშოდ გაიზარდა; რომ ჯერ კიდევ ძალიან ხშირია ქუჩაში ყაჩაღობა, ბინების გაქურდვა, მანქანების გატაცება და ოსეთის მიმართულებით გადაყვანა და ა.შ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვა სამინისტროებთან შედარებით გამორჩეულია. იგი არა მხოლოდ მუშაობის სპეციფიკის სირთულით, მასშტაბით, წლების განმავლობაში არსებული კორუფციით, გახრწნილი მენტალიტეტით, მისადმი ურწმუნოებით, კრიტიკის ქერცეცხლით, მიღწეულითა და ჯერ ვერმიღწეულით, არამედ საკუთარი წარმატებების ხაზგასმით, გაპიარებითაც გამოირჩევა. ყოველდღიური გადაცემა "პატრული", რომელსაც საზოგადოების ნაწილი კარგი დეტექტივივით უყურებს, სწორედ საკუთარი მიღწევების აქტიური დემონსტრირებაა, რაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, დოზის ასეთი გადაჭარბება რომ არა. კარგ PR-საც თავისი წესები, ნორმები აქვს და ზედმეტი კი ზოგჯერ რადიკალურად საწინააღმდეგო უკუერეაქციას იწვევს. ამგვარი გადაცემა კვირაში ერთხელ ან ორჯერ რომ გადიოდეს, მგონია, რომ უფრო საინტერესოც, ინფორმაციულიც, შედეგიანიც იქნებოდა, მაგრამ ეს უკვე შსს-ს PR ჯგუფის გემოვნებისა და ზომიერების პრობლემაა. პრობლემა რომ არსებობს, ამის აშკარა დასტური კი ამ კვირაში გამოსული მათი ახალი PR პროექტი "უბნის ინსპექტორი" გახდა.

ახალი ან შეიძლება ძველი, მაგრამ ახლად აღდგენილი უბნის ინსპექტორის სამსახური თავისთავად შეიძლება ცუდი არ იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ბუნდოვანი და გაურკვეველია. ჩვენს სახლში სპეციალურ ფორმაში ჩაცმული ზრდილობიანი, მაგრამ ზედმეტად ცნობისმოყვარე ინსპექტორი უკვე იყო. ოჯახის ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პროფესია, სამუშაო ადგილი, დღის განრიგი, მანქანების რაოდენობა, მფლობელების ვინაობა დაადგინა, ჩაიწერა, საკუთარი ფუნქცია ორი სიტყვითაც არ განგვიმარტა (მგონი, თვითონაც არ იცოდა) და სრულიად უინტერესო, მაგრამ დეტალური ინფორმაციით დახუნძლული წავიდა. ის იყო, ახალი ტიპის უბნის ინსპექტორის როლის გაგება მოვინდომე, რომ "რუსთავი-2"-ზე გადაცემა "უბნის ინსპექტორი" დაიწყო და ელემენტარული ამბის გასაგებად ტელევიზორს მივუჯექი.

ტელეეკრანზე ორი დაბალი ტანის, მსუქანი, ცოტა მელოტი, საყვარელი უბნის ინსპექტორი კამერის თანხლებით ვილაცის ჭიშკარს აღებენ, მოუვლელ ეზოში შედიან, სქელმკლავებიან, უსახელო მაისურში ჩაცმულ (რატომღაც დეკემბერში ეკრანზე ზაფხული იყო), ჭაღარათმიან ხანშიშესულ ქალს ეცნობიან, სახლში შეყვებიან, სამზარეულოს "კლიონკა"-გადაფარებულ მაგიდასთან ჩამოსხდებიან, ქალის მიერ მიცემულ ფერად ფოტოებს თავის წინ მაგიდაზე დაილაგებენ, ხელებს ნიკაპის ქვეშ ამოიდებენ და დედამ (სქელმკლავებიანმა) საკუთარ ქალიშვილს შვილი, პატარა ვაჟიკო, თუ გივიკო, თუ ივიკო რატომ და როგორ წაართვა, რატომ არ აჩვენებს, ამ ამბის მოსმენას გულწრფელი ინტერესით იწყებენ. თან მთხრობელს გულშემატკივრობენ, მოქმედი პირების ფოტოებს ერთმანეთს გადასცემენ, თავებს აქნევენ, გაკვირვებასა და აღშფოთებას რაღაც სპეციფიკური ხმებით გამოხატავენ და ერთმანეთს მნიშვნელოვნად უყურებენ. ერთი მხარის მიერ მოყოლილ ამბავს რომ ამოწურავენ, ეზოეზო მეზობლებს დაივლიან, კარგა გემრიელად იჭორავებენ, გაკვირვებული მეზობლებისგან მაქსიმუმს ამოწურავენ და ბოლოს შვილწართმეულ დედასაც მიაკითხავენ (მაგისი აზრიც ხომ საინტერესოა). კიდევ უფრო უბადრუკი ეზო, ფიცრებით აჭედებული ფანჯრები, დაულაგებელი, ანგრეული სახლი, მსხვილი პლანით ნაჩვენები გაუსწორებელი ლოგინი, გაურეცხავი ჭურჭელი (ქართული ნეორეალიზმი), დედის ტკივილი, ცრემლები, ოხვრითა და კვნესით მოყოლილი ოჯახური ამბები, არნანახი შვილისთვის ნაყიდი სკოლის ჩანთა, გინება, ლანძღვა, დედამთილთან, მულთან, მამამთილთან ხელჩართული ჩხუბი, გაწევ-გამოწევა და ამ გაუგებრობაში მოყოლილი ჩვენი ორი მსუქანი, საყვარელი, ჭორიკანა უბნის ინსპექტორი, რომლებიც, მართალია მაგრად დაზარალდნენ, გაილახნენ, დაიკბინენ, მაგრამ სამაგიეროდ სხვისი ოჯახის ასეთი საინტერესო ამბები გაიგეს. ერთ-ორ ჩარტყმად, კბენად, ამოგლეჯილ თმის ბღუჯად კი ღირდა!

გადაცემის შინაარსი სიტყვასიტყვით მოგიყევით. ახლა კი შსს-ს, უფრო სწორად კი მის PS ჯგუფს, გადაცემის იდეის ავტორ გურამ დონაძეს მინდა მივმართო, რომ ახალი პროექტის არსი, დანიშნულება ამიხსნას (სპეცბრიფინგს არ ვითხოვ), თორემ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს კარდაკარ სიარული, ჭორაობა, სხვის ბინძურ თეთრეულში ქექვა ამ პროექტის მთავარი მიზანი იყო. მერწმუნეთ, თბილისში ჭორიკნები, ჭორაობა, ჭორები ისედაც არ გვაკლია და შსს-ს, მერაბიშვილის ან მით უმეტეს დონაძის წახმარება საჭირო არ არის. ისედაც საკმარისად ვახერხებთ. სამართალდამცავებმა კი, აჯობებს, თავის უშუალო საქმეს მიხედონ, თორემ რა გამოვიდა? ეზო-ეზო იარეს, იჭორავეს, ისავსავეს, ჩაი დალიეს, ოჯახური ფოტოალბომი დაათვალიერეს, თავები აქნიეს, მეზობლები გაიცნეს, ენის ჩლიფინით ბავშვს გაეთამაშნენ, ოჯახური კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავეს, თვითონაც გაილახნენ, ბავშვის ბედი კი როგორც იყო გაურკვეველი, ისე დარჩა.

ეს არის ახალი პროექტი? ეს არის შსს-ს PR?

თუმცა, შეიძლება მე სწორად ვერ გავიგე და ერთ-ერთმა მთავარმა ძალოვანმა სამინისტრომ შეთავსებით მდარე ხარისხის "жизненный" სერიალების გადაღებას მიჰყო ხელი? რატომაც არა? არც ეგ გაგვიკვირდება!

## შპს "საქართველოს რკინიგზის" ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის 4 ვაკანსიაზე ვადიანი ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი

**ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. განათლება

- უმაღლესი;
- მიწათმოწყობა, არქიტექტურა, კომპიუტერული პროგრამები **(PenMap, Map500, ArcView, Excel და Word)** ან უძრავი ქონების სპეციალისტი;
- ქვეყნის მასშტაბით კადასტრისა და საჯარო რეესტრის პროგრამის **KFW-ს** პროექტის კურსდამთავრებული (სათანადო სერთიფიკატი) ან სათანადო გამოცდილებით;
- **Pen Map/GIS და GPS-DPT** სპეციალისტი;

2. მუშაობის გამოცდილება:

- არქიტექტურა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქვეყნის მასშტაბით მიწის (უძრავი) ქონების რეგისტრაციის პროექტების **KFW-ს, USAID-ის** ან სხვას კონტრაქტორი, სამუშაოზე მუშაობის სტაჟი მინიმუმ 1 წელი;
- ველზე მუშაობის გამოცდილება;
- ხელსაწყოებზე (**GPS-DPT, Potosmart R717 digital camera, Plotters DJ 500 42", Notebooks)** მუშაობის გამოცდილება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 22 დეკემბერი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ:

1. CV;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;
(დიპლომი, სერთიფიკატი);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. შრომის წიგნაკის ასლი;
6. ორი ფოტოსურათი.

მისამართი:
შპს "საქართველოს რკინიგზა"
თამარ მეფის გამზირი N 15
ქ. თბილისი
ტელ: 56-53-19(18), 899 700 727

## შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი" აცხადებს კომერციულ კონკურსს საზოგადოების კაპიტალში რიცხული ქ.თბილისში რუსთაველის გამზ.N 42-ში მდებარე შენობის:

1) შენობის ტექნიკურ სართულზე(სარდაფი) განლაგებულ ფართობს (საერთო ფართი 355 მ2, ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი საკონკურსო ფასი 1კვ.მ 1,4 ლარი.)

**იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:**

საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს .

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:**

მეიჯარე: **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი'**

მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42**

წინასწარ შესატანი "ბე" შეადგენს, პოტენციური მოიჯარის მიერ შერჩეული ოთახის სრული თვიური საიჯარო ღირებულების (საწყისი ფასი გამრავლებული კვადრატულ მეტრზე) 10 პროცენტს.

**ოთახების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობების :**

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც დაქირავებულ ფართზე მოაწყობს თეატრალურ სახელოსნოს. დამქირავებლის საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და ხელი არ უნდა სშეუშლოს საქინფორმის საქმიანობას.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა თავის თავზე უნდა აიღოს იჯარით აღებული ოთახის ელექტროენერგიის ხარჯის აღმნუსხავი მრიცხველის დაყენება და კომუნალური გადასახადების გადახდა.
- საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმებია გადახდის გარეშე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 12 საათიდან - 15 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.

კონკურსი გაიმართება **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის"** შენობაში 2006 წ,17 იანვარი. 17 სთ.

მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42, IV სართული**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია :

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
3. შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის" ანგარიშზე.

**(ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი** კოდი: **220101502** საანგარიშსწორებო

ანგარიში **N 021467320**, შპს საქინფორმი) "ბეს" შეტანის ქვითარს;

4. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება, მყარი ფინანსური გარანტიები და კონკურენტზე უკეთესი კომერციული წინადადება. თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი კომერციული წინადადების პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული ან დაახლოებული იქნება მედიასთან.

ცნობებისათვის დარეკეთ 899 988 131:

**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი"**

*ფეხბურთი*

# აი, მესმის კენჭისყრა!

გიგა გურასაშვილი

*ჩემპიონთა ლიგაში ერთი და იგივე გუნდების ბოგინი ერთგვარ ტრადიციად იქცა. ყოველ კენჭისყრას უწინდელს ადარებენ თუ პარალელებს ავლებენ. წლეულს, ისევე როგორც შარშან უმთავრესი საკლუბო ასპარეზობის მერვედფინალური მატჩები "ვადამდელ ფინალებად" მოინათლა. შარშანდელის მსგავსად ლიგის ამავე ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან "ჩელსი" და "ბარსელონა". თუმცა უინტერესო არც სხვა მატჩები უნდა იყოს. ასეთებად კი პირველყოვლისა. "რეალი"-"არსენალისა" და "ბავარია"-"მილანის" წყვილები უნდა დასახელდეს. გაირკვა უეფას თასის წყვილებიც, მანამდე კი უმთავრესით დავიწყოთ.*



ჩემპიონთა თასი მფლობელს ელის.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის ევროპელ გიჟმაჟებს საბაბი აქვთ ნერვები დაიწყვიტონ და ხმის ჩახლეჩამდე იყვირონ. გუშინ ნიონში უეფას შტაბ-ბინაში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური წყვილთა გამოსავლენად ფერად-ფერადი ბურთულები დაატრიალეს.

პარალელები ვახსენეთ და ვთქვათ, რომ შარშან ამავე ეტაპზე ისეთი წყვილები ამოყარეს კალათიდან, რომ თითოეული ლიგის ფინალს დაამშვენებდა: "მილანი" და "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "ბავარია", "ჩელსი" და "ბარსელონა", "რეალი" და "იუვენტუსი". შესაძლებელი იყო იგივე ახლაც განმეორებულიყო.

საქმე ისაა, რომ ჯგუფური ეტაპის გამარჯვებულები "არსენალი", "იუვენტუსი" და "ბარსელონა შეუწყვილდნენ ამავე ჯგუფის უახლოეს მდევრებს "ბავარიას", "რეალსა" და "ჩელსის".

კენჭისყრის ორგანიზატორებმა იმაზეც იზრუნეს, რომ ერთი და იგივე ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციათა გუნდები ერთმანეთს არ გადაყროდნენ, ისევე როგორც ჯგუფური ეტაპის ყოფილი მეტოქეები.

...კენჭისყრა შარშანდელის ტყუპისცალივით დაიწყო. თავდაპირველად კალათიდან "ჩელსის" ბურთულა ამოაგორეს, შემდეგ მეორე კალათშიც აფათურეს ხელი, რასაც "ბარსელონას" ბურთულა მოყვა. ერთი ეგაა "ბარსელონასა" და "ჩელსის" წყვილებს შორის სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ ამჯერად პირველი შეხვედრის მასპინძლებად ლონდონელები მოგვევლინებიან. "ჩელსის" აღმასრულებელმა პეტერ კენიონმა იყვირა კიდეც "აი, მესმის კენჭისყრა!

გავიგეთ, გენერალური რეპეტიციისთვის "ბარსელონა" გვერგო. არადა გვეგონა, რომ ერთმანეთს ავცდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. შარშანდელის მსგავსად უეჭველად უნდა დავამარცხოთ".

კატალონიელთა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა, რომელიც საკუთარი სამწყსოთი "სტემფორდ ბრიჯს" 22 თებერვალს ეწვევა, განაცხადა, "ორივე მხარეს "ჩელსის" და "ბარსას" წლეულს ბრწყინვალე სეზონი უდგათ. აშკარაა მაგარი წყვილი შედგა. არ გეგონოთ, რომ ჩვენს შორის რამე შუღლია. მჯერა გულშემატკივრები კიდევ ერთ ჯადოსნურ მატჩს იხილავენ, რომელიც ფეხბურთის ფარგლებს არ გასცდება".

მარტო ეს? კიდევ ერთ სუპერ წყვილს ჩაეყარა საფუძველი: "რეალი" - "არსენალი"! "სამეფო კლუბისა" და "მეთოფეთა" შეწყვილების შემდეგ კალათიდან "ვერდერისა" და "იუვენტუსის" წყვილებიც ამოაგდეს. ის იყო, "ბებერმა ქალბატონმა" გერმანელებს გადახედა, რომ ნიონის კონფერენც-დარბაზში მორიგი ბომბი გასკდა: "ბავარია" შარშანდელ ფინალისტს - "მილანს" დაეჯახა!

მეოთხე კენჭისყრამ მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა. ჰოლანდიური პსვ საფრანგეთის "ლიონს" დაუპირისპირდა.

სხვათა შორის, პსვ და "ლიონი" ლიგის შარშანდელი გათამაშების მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და გამარჯვება ჰოლანდიურმა კლუბმა მოიპოვა.

მერე და მერე კენჭისყრამ გამოავლინა შემდეგი წყვილებიც: "აიაქსი" - "ინტერი", "ვილიარეალი" - "გლაზგო რეინჯერსი". რაც შეეხება თასის შარშანდელ გამარჯვებულ "ლივერპულს", ესენი "ბენფიკას" ხვდებიან.

მერვედფინალური მატჩების პირველი შეხვედრები 21 და 22 თებერვალს გაიმართება, საპასუხოები კი 7 და 8 მარტს.

ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის ფეხდაფეხ უეფას თასის გათამაშების კენჭისყრაც შედგა. აქ აღსანიშნავი ისაა, რომ წინა სტადიაზე საკუთარ ჯგუფში საუკეთესო სამეულს მიღმა დარჩენით შემდგომ ეტაპს გამოეთიშა თასის შარშანდელი მომპოვებელი მოსკოვის ცესკა. არმიელთაგან ესტაფეტა "ლოკომოტივმა" და "ზენიტმა" ჩაიბარეს.

მთლიანობაში მეთექვსმეტედფინალში უეფას თასისთვის ბრძოლას 32 კლუბი აგრძელებს, აქედან 24 ჯგუფური ეტაპის შედეგებით მოხვდა, დანარჩენი რვა კი ჩემპიონთა ლიგიდან შეემატათ, რომლებმაც თავის მხრივ ჯგუფურ ეტაპზე მესამე ადგილები დაიკავეს, ისევე როგორც ლევან კობიაშვილის "შალკემ".

აღსანიშნავია ისიც, რომ "შალკე 04" ერთადერთია, მიმდინარე გათამაშების მონაწილეთაგან, რომელსაც უეფას თასი აუწევია ხელში. ეს კი 1997 წელს მოხდა, როდესაც მილანის "ინტერი" პენალტების სერიაში დაამარცხა.

ჩემპიონთა ლიგიდან უეფაზე ჩამოქვეითებულ გუნდებს შორისაა "ბრიუგე", რომელსაც საკმაოდ მძიმე ორთაბრძოლა უნდა გადახდეს იტალიურ გიგანტ "რომასთან". "ჰამბურგთან" შეხვედრით კმაყოფილი არც "თუნი" უნდა დარჩენილიყო. ასევე ყურადღებას იპყრობს დონეცკის "შახტიორისა" და "ლილის" შეხვედრაც.

**2005/06 უეფას ჩემპიონთა ლიგა.**
**1/8 ფინალი**
**პირველი შეხვედრები**
**21/22 თებერვალი**
**საპასუხო შეხვედრები**
**7/ 8 მარტი**

"ჩელსი" - "ბარსელონა"
"რეალი" - "არსენალი"
"ვერდერი" - "იუვენტუსი"
"ბაიერნი" - "მილანი"
პსვ - "ლიონი"
"აიაქსი" - "ინტერი"
"ბენფიკა" - "ლივერპული"
"რეინჯერსი" - "ვილიარეალი"

**2005/06 უეფას თასი.**
**1/16 ფინალი**
**პირველი შეხვედრები:**
**15/16 თებერვალი**
**საპასუხო შეხვედრები:**
**23 თებერვალი**

"ლიტექსი" - "სტრასბურგი"
"შტუტგარტი" - "მიდლსბრო"
"სლავია" - "პალერმო"
"ჰერენვენი" - "სტიაუა"
"ლოკომოტივი" - "სევილია"
"ბოლტონი" - "ოლიმპიკი"
"ჰერტა" - "რაპიდი"
"ბაზელი" - "მონაკო"
"უდინეზე" - "ლანსი"
"რუსენბორგი" - "ზენიტი"
"ბრიუგე" - "რომა"
"შალკე" - "ესპანიოლი"
"ლილი" - "შახტიორი"
"თუნი" - "ჰამბურგი"
"ბეტისი" - A3
"არტმედია" - "ლევსკი"




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

(14 დეკემბერი)

### საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. თბილისში მდებარე შ.პ.ს. "პოლიგლოტი" - ითხოვს საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიებს.

2. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ფილიალი თბილისის კოლეჯი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით) - ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

3. შ.პ.ს. "საერთაშორისო სახლი" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, შ.პ.ს. "საერთაშორისო სახლის" იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი N2, შ.პ.ს. "საერთაშორისო სახლთან" არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებას განაგრძობს "ახალი სკოლის" სახელწოდებით.

4. შ.პ.ს. "გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის შესაბამისი გადაწყვეტილებით, შ.პ.ს. "მწიგნობარს" შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შ.პ.ს. "გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა", მისი ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N45.

5. შ.პ.ს. "ევრა" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, შ.პ.ს. "ხაშურს" ეწოდა შ.პ.ს. "ევრა" და მის მიერ დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებას განაგრძობს შ.პ.ს. "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის" სახელწოდებით.

6. ქ. თბილისის შ.პ.ს. ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მრავალდარგოვანი კოლეჯის აბაშის ფილიალი" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, ქ. ფოთის საგადასახადო ინსპექციის შესაბამისი გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მრავალდარგოვანი კოლეჯის აბაშის ფილიალს" ეწოდა შ.პ.ს. "აბაშის სამედიცინო სასწავლებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ინფომაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამა "ირმის ნახტომის" დაფინანსების ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მიზნით მ\წლის 7 დეკემბერს ჩატარებულ ღია ტენდერში გამოვლინდა ორი გამარჯვებული ორგანიზაცია. I, II და III ლოტებში (კომპიუტერი - 640ც, უწყვეტი კვების წყარო - 640ც, პორტატული კომპიუტერი - 16ც, მონაცემთა პროექტორი - 34ც, პრინტერი - 2ც, ასლგადამღები - 1ც, სკანერი - 1ც) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "იუ-ჯი-თი", ხოლო IV ლოტში (კომუტეტორი - 6ც, "ვაიფაი-აქსეს-ფოინთი" - 6ც) გაიმარჯვა შპს "ალტამ".

*საქართველოს განათლებისა*
*და მეცნიერების სამინისტრო*

## ორშაბათი 19.12

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "მოპარული გულები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.20** სერიალი "დედინაცვალი" **13.30** "ჯეობარი" **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი "მოპარული გულები" **16.40** სერიალი "მეამბოხე სული" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "დედინაცვალი" **22.00** შაბათის შოუს გამეორება **23.00** "ჯეობარი" **00.00** სერიალი "ბრიგადა" **01.00** მხ. ფილმი "შეწამული შტორმი" (18) (დენიელ ვუ) **03.20** პატრული

**07.55** "ადრე" **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "მარადიული სიცოცხლე" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "ბამფის უცნაური თავგადასავლები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "დანაშაული" 1-ლი ს. **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.15** სერიალი "სკარლეტი" 1-ლი ს. **17.00** სერიალი "დაცვის უფლება" **18.00** "მთავარი" **18.30** "გზაჯვარედინი" **19.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "დაცვის უფლება" **23.00** მხ. ფილმი "ორმაგი ყნოსვა" (გ) **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა **09.00** ანიმაც. ფილმი "აბა დამაცადე" **09.30** სერიალი "ასა" **10.00** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **10.50** სერიალი "ასა" **10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55** მზერა **11.05** სერიალი "ქვიშის თოჯი" **12.05** ფეხბურთი. რეალი-ოსასუნა **13.50** სერიალი "ასა" **14.05** სერიალი "გვერდი-გვერდ" **14.35** "სამყაროს უთვალავი ფერი" **15.05** ფეხბურთი. არსენალი-ჩელსი. **16.50** სერიალი "ასა" **16.55** მზერა **17.05** სერიალი "გვერდი-გვერდ" **17.35** სერილი "ტასი უფბლებამოსილია განაცხადოს" 1-ლი ს. **17.50** სერიალი "ასა" **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.05** სერილი "ტასი უფბლებამოსილია განაცხადოს" (გაგრძ.) **18.55** სერიალი "ასა" **19.00, 19.30** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **20.00** "მზერა", ბაბაჯანა **20.50** ქართ. ფილმი "მშობლიურო ჩემო მიწავ" **22.30** სერიალი "ასა" **23.00** მხ. ფილმი "დაშნა" (15) (რ. დე ნირო)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი **19.40** ახალი პროექტი **20.05** სპექტაკლი "ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.10** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.00** დროება **12.40, 16.25, 01.45** ტვ-მარკეტი **13.15** ქართ. ფილმი "ლონდრე" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.15, 03.20** იმედის მელოდიები **16.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **17.10** სპ. პროგრამა "ოლიმპიური ინტერიერი" **17.40** ლატარეა "ЗКЗ" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.45** მხ. ფილმი "გახსოვდე" (15) (მ. ბელუჩი) **02.20** სერიალი "კამენსკაია"

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** სათავგადასავლო ფილმი "რობინზონ კრუზო" 1-2 ნაწილი **12.15** ბოევიკი "ცეცხლის ხაზზე" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "საკმარისია" **16.45** მულტსერიალი **18.00** "პროექტი მომავალი" **18.30** "ნოვოსტი" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** "პროექცია" **22.00** სერიალი "ნარჩიტა" 1 სერია **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.15** კრიმინალური კომედია "ხმა გაკმინდე და მაკოცე"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** "Первая программа". **07.00** "Доброе утро!" **10.10** "Сердце Африки". **11.30** "Человек и закон". **12.30** Детектив **"БРАСЛЕТЫ ДЛЯ ШПИОНОВ"**. **13.20** Алексей Макаров в фильме **"ЛИЧНЫЙ НОМЕР"**. **15.20** Док. фильм "Охота на "Искандера". **16.10** "Лолита. Без комплексов". **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. **18.00** "Федеральный судья". **19.10** "Кривое зеркало". **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ. ФАВОРИТКА"**. **20.50** Жди меня. **22.00** Время. **22.30** Сериал **"ЗА ВСЕ ТЕБЯ БЛАГОДАРЮ"**. **23.30** Спецрасследование. "Бойцы рынка подделок". **00.40** Ночные новости. **01.00** Лауреат премии "Оскар-2004". "Туман войны". **02.55** Мультфильм "ТИТАН ПОСЛЕ ГИБЕЛИ ЗЕМЛИ". **04.20** Роберт Шон Леонард в боевике **"ПРОТИВОСТОЯНИЕ"**.

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00**, **01.00** Сегодня. **11.20** Чистосердечное признание. **11.55** Кулинарный поединок. **12.55** Квартирный вопрос. **14.30** Сериал **"СЫЩИКИ 4"**. **16.35**, **19.35**, **0.45** Чрезвычайное происшествие. **17.20** Сериал **"АДВОКАТ"**. **20.40** Сериал **"СВОЙ ЧЕЛОВЕК"**. **21.50** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2: ЧЕСТНАЯ ИГРА"**. **23.40** Реальное шоу **"РУБЛЕВКА. LIVE"**. **01.20** Ток-шоу "Школа злословия". Отец Александр Борисов. **02.15** "Все сразу!" **02.45** Оди Ингланд в фильме **"ДЕЛЬТА ВЕНЕРЫ"**. **04.50** Роберт Рэдфорд в фильме **"ДЖЕРИМАЯ ДЖОНСОН"**.

## სამშაბათი 20.12

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "მოპარული გულები" **11.00** სერიალი "ბრიგადა" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი "დედინაცვალი" **13.30** "ჯეობარი" **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი "მოპარული გულები" **16.40** სერიალი "მეამბოხე სული" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "დედინაცვალი" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "მარტინ გერის დაბრუნება" (15) (ჟ. დეპარდიე) **02.30** პატრული

**07.55** "ადრე" **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "ბამფის უცნაური თავგადასავლები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "დანაშაული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.15** სერიალი "სკარლეტი" **17.00** სერიალი "დაცვის უფლება" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "ფანტასტიკური სინათლე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "დაცვის უფლება" **23.00** მხ. ფილმი "ვის როგორ უყვარს" (15) **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

